

# ქ. ბათუმის 2013 წლის ბიუჯეტი

## შესრულების ანგარიში





## თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის 2013 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში

თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის 2013 წლის ბიუჯეტი დამტკიცებული იქნა თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 31/12/2012 №61 დადგენილებით. დამტკიცებულ ბიუჯეტში წლის განმავლობაში განხორციელდა ცვლილებები თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 31/01/2013 №1; 29/03/2013 №14; 12/04/2013 №18; 23/05/2013 №22; 28/06/2013 №25; 27/08/2013 №28; 11/11/2013 №31; 10/12/2013 №42; 20/12/2013 №43 დადგენილებებით.

საანგარიშო პერიოდში ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსულობების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 95,156.2 ათასი ლარი, ფაქტიური შესრულება 88,161.2 ათასი ლარია. ბიუჯეტის გადასახდელების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 104,440.8 ათასი ლარი, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 85,568.5 ათასი ლარი. ბიუჯეტით დაგეგმილ პროექტებზე გათვალისწინებული თანხები, რომელთა დაფინანსება 2013 წელს არ განხორციელდა, დატოვებული იქნა ქ. ბათუმის საბიუჯეტო ანგარიშზე და გათვალისწინებული იქნა თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის 2014 წლის ბიუჯეტის შედგენის დროს.

2013 წელს პრიორიტეტული იყო ქალაქის განვითარებისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის მშენებლობის, რეაბილიტაციისა და მათ ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ღონისძიებების დაფინანსება. ქალაქში ცალკეული ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების პარალელურად საბიუჯეტო დაფინანსების ძირითად პრიორიტეტს ასევე სკოლამდელი განათლების, კულტურისა და სპორტის სფერო და მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება წარმოადგენდა.

დასახული პრიორიტეტების შესაბამისად, თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის ბიუჯეტიდან ხორციელდებოდა შემდეგი პროგრამების დაფინანსება:

- სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამები - 17,628.2 ათასი ლარი;
- კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამები - 21,394.6 ათასი ლარი;
- ქალაქის კეთილმოწყობის პროგრამები - 8,342.8 ათასი ლარი;
- სკოლამდელი განათლების ხელშეწყობის პროგრამები - 7,684.1 ათასი ლარი;
- სპორტის განვითარების ხელშეწყობის პროგრამები - 3,776.1 ათასი ლარი;
- კულტურის განვითარების ხელშეწყობის პროგრამები - 4,704.4 ათასი ლარი;
- საზოგადოებრივი და ახალგაზრდული ორგანიზაციების ხელშეწყობის პროგრამები - 243.7 ათასი ლარი;
- ჯანმრთელობის დაცვის პროგრამები - 1,845.6 ათასი ლარი;
- სოციალური უზრუნველყოფის პროგრამები - 5,023.3 ათასი ლარი.

ადგილობრივი ბიუჯეტიდან ხორციელდებოდა ასევე თვითმმართველობის ორგანოების ხარჯების დაფინანსება (10428.2 ათასი ლარი), სასესხო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა (4,016.2 ათასი ლარი) და სხვადასხვა ღონისძიებების დაფინანსება (ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა, კომუნალური გადასახადების ერთიანი ადმინისტრირება, სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულება, ციტრუსის ნაყოფის რეალიზაციის ხელშეწყობა - 481.3 ათასი ლარი).



**ქ. ბათუმის 2013 წლის ბიუჯეტის მაჩვენებლები**

*ქ. ბათუმის ბიუჯეტის ბალანსი*

*(ათასი ლარი)*

დასახელება	2013 წლის გეგმა	2013 წლის შესრულება	შესრულების %
<b>შემოსავლები</b>	<b>94,596.2</b>	<b>87,607.8</b>	<b>92.6%</b>
გადასახადები	12,570.0	11,628.1	92.5%
გრანტები	63,329.8	54,416.5	85.9%
სხვა შემოსავლები	18,696.4	21,563.2	115.3%
<b>ხარჯები</b>	<b>64,263.1</b>	<b>58,457.8</b>	<b>91.0%</b>
შრომის ანაზღაურება	8,221.6	8,221.5	100.0%
საქონელი და მომსახურება	16,388.2	15,019.4	91.6%
პროცენტი	2,601.9	2,467.2	94.8%
სუბსიდიები	22,705.1	22,013.3	97.0%
სოციალური უზრუნველყოფა	5,042.0	4,809.9	95.4%
სხვა ხარჯები	9,304.3	5,926.4	63.7%
<b>საოპერაციო სალდო</b>	<b>30,333.1</b>	<b>29,150.0</b>	<b>96.1%</b>
<b>არაფინანსური აქტივების ცვლილება</b>	<b>37,829.3</b>	<b>24,826.4</b>	<b>65.6%</b>
ზრდა	38,389.3	25,379.9	66.1%
კლება	560.0	553.4	98.8%
<b>მთლიანი სალდო</b>	<b>-7,496.2</b>	<b>4,323.6</b>	<b>-57.7%</b>
<b>ფინანსური აქტივების ცვლილება</b>	<b>-9,284.6</b>	<b>2,592.7</b>	<b>-27.9%</b>
ზრდა		2,631.1	-
ვალუტა და დეპოზიტები		2,631.1	-
კლება	9,284.6	38.4	0.4%
ვალუტა და დეპოზიტები	9,284.6	38.4	0.4%
<b>ვალდებულებების ცვლილება</b>	<b>-1,788.4</b>	<b>-1,730.9</b>	<b>96.8%</b>
კლება	1,788.4	1,730.9	96.8%
საშინაო	1,788.4	1,730.9	96.8%
<b>ბალანსი</b>	<b>0</b>	<b>0</b>	



ქ. ბათუმის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

(ათასი ლარი)

დასახელება	2013 წლის გეგმა	2013 წლის შესრულება	შესრულების %
<b>შემოსულობები</b>	<b>95,156.2</b>	<b>88,161.2</b>	<b>92.6%</b>
შემოსავლები	94,596.2	87,607.8	92.6%
არაფინანსური აქტივების კლება	560.0	553.4	98.8%
<b>გადასახდელები</b>	<b>104,440.8</b>	<b>85,568.5</b>	<b>81.9%</b>
ხარჯები	64,263.1	58,457.8	91.0%
არაფინანსური აქტივების ზრდა	38,389.3	25,379.9	66.1%
ვალდებულებების კლება	1,788.4	1,730.9	96.8%
<b>ნაშთის ცვლილება</b>	<b>-9,284.6</b>	<b>2,592.7</b>	





### თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის 2013 წლის ბიუჯეტის შემოსულობები


თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის 2013 წლის ბიუჯეტის ფაქტიურმა შემოსულობებმა შეადგინა 88,161.2 ათასი ლარი, რაც შემოსულობების 2013 წლის გეგმიური მაჩვენებლის 92.6%-ია. შემოსულობებიდან გადასახადების სახით მიღებულ შემოსავლებზე მოდის 11,628.1 ათასი ლარი (შემოსულობების 13.2%), გრანტების (ფინანსური დახმარების) სახით მიღებულ შემოსავლებზე – 54,416.5 ათასი ლარი (შემოსულობების 61.7%), სხვა (არასაგადასახადო) შემოსავლებზე – 21,563.2 ათასი ლარი (შემოსულობების 24.5%), არაფინანსური აქტივების კლებაზე (ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებულ შემოსულობაზე) – 553.4 ათასი ლარი (შემოსულობების 0.6%).

### თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის 2013 წლის ბიუჯეტის ფაქტიური შემოსულობები

(ათასი ლარი)

№	შემოსულობის დასახელება	თანხა	წილი მთლიან შემოსულობებში
<b>1</b>	<b>შემოსავლები</b>	<b>87,607.8</b>	<b>99.4%</b>
1.1	გადასახადები	11,628.1	13.2%
1.2	გრანტები და ფინანსური დახმარება	54,416.5	61.7%
1.3	სხვა შემოსავლები	21,563.2	24.5%
<b>2</b>	<b>არაფინანსური აქტივების კლება</b>	<b>553.4</b>	<b>0.6%</b>
<b>ჯამი</b>		<b>88,161.2</b>	<b>100.0%</b>

### თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის 2013 წლის ბიუჯეტის ფაქტიური შემოსულობები






შემოსულობების ცალკეული კატეგორიების მიხედვით შესრულების მდგომარეობა შემდეგია:

(ათასი ლარი)

№	შემოსულობების დასახელება	2013 წლის გეგმა	2013 წლის შესრულება	გადახრა	შესრულება %
1	შემოსავლები	94,596.2	87,607.8	-6,988.4	92.6%
1.1	გადასახადები	12,570.0	11,628.1	-941.9	92.5%
1.2	გრანტები და ფინანსური დახმარება	63,329.8	54,416.5	-8,913.3	85.9%
1.3	სხვა შემოსავლები	18,696.4	21,563.2	2,866.8	115.3%
2	არაფინანსური აქტივების კლება	560.0	553.4	-6.6	98.8%
<b>ჯამი</b>		<b>95,156.2</b>	<b>88,161.2</b>	<b>-6,995.0</b>	<b>92.6%</b>

ქ. ბათუმის 2013 წლის ბიუჯეტის ფაქტობრივი შესრულება გეგმასთან მიმართებაში






**თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის ბიუჯეტის  
 შემოსულობების დინამიკა**

*(ათასი ლარი)*


№	დასახელება	2008 წლის ფაქტი	2009 წლის ფაქტი	2010 წლის ფაქტი	2011 წლის ფაქტი	2012 წლის ფაქტი	2013 წლის ფაქტი
<b>1</b>	<b>შემოსავლები</b>	<b>58,461.7</b>	<b>122,075.8</b>	<b>160,594.2</b>	<b>202,436.4</b>	<b>151,423.9</b>	<b>87,607.8</b>
1.1	გადასახადები	8,382.0	7,973.8	10,547.3	11,918.1	12,619.0	11,628.1
1.2	გრანტები და ფინანსური დახმარება	43,210.8	106,279.9	137,290.6	176,229.6	116,363.9	54,416.5
1.3	სხვა შემოსავლები	6,868.9	7,822.1	12,756.3	14,288.7	22,441.0	21,563.2
<b>2</b>	<b>არაფინანსური აქტივების კლება</b>	<b>5,620.6</b>	<b>2,135.0</b>	<b>9,043.9</b>	<b>6,682.4</b>	<b>13,680.9</b>	<b>553.4</b>
	<b>სულ ჯამი</b>	<b>64,082.3</b>	<b>124,210.8</b>	<b>169,638.1</b>	<b>209,118.8</b>	<b>165,104.8</b>	<b>88,161.2</b>

**თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის ბიუჯეტის  
 შემოსულობების დინამიკა**





### თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის ბიუჯეტის შემოსულობების დინამიკა



#### შემოსავლები

თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის 2013 წლის ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მოცულობა განისაზღვრა 94,596.2 ათასი ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებული იქნა 87,607.8 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 92.6%.

შემოსავლები მოიცავს გადასახადებს, გრანტებს (ფინანსურ დახმარებას) და სხვა (არასაგადასახადო) შემოსავლებს.

#### გადასახადები

თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის 2013 წლის ბიუჯეტის შემოსულობების შესრულების შედეგების მიხედვით, საგადასახადო შემოსავლების ფაქტიურ შესრულებაზე მოდის 11,628.1 ათასი ლარი, რაც შესაბამისი გეგმიური მაჩვენებლის – 12,570.0 ათასი ლარის 92.5%-ია. თავის მხრივ, მთლიან შემოსულობებში საგადასახადო შემოსავლების წილი შეადგენს 13.2%-ს.





**თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის ბიუჯეტის  
 საგადასახადო შემოსავლების დინამიკა**

(ათასი ლარი)

№	შემოსავლის სახე	2008 წლის ფაქტი	2009 წლის ფაქტი	2010 წლის ფაქტი	2011 წლის ფაქტი	2012 წლის ფაქტი	2013 წლის გეგმა	2013 წლის ფაქტი	შესრულება			
									2013 წ. გეგმასთან		2012 წ. ფაქტთან	
									გადახრა (ათასი ლარი)	%	გადახრა (ათასი ლარი)	%
1	ქონების გადასახადი	7,660.5	7,579.1	10,507.6	11,911.0	12,616.3	12,570.0	11,625.3	-944.7	92.5%	-991.0	92.1%
1.1	ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადი	228.6	122.7	262.4	544.7	673.8	520.0	792.8	272.8	152.5%	119.0	117.7%
1.2	საწარმოთა ქონების გადასახადი	5,730.2	6,200.4	8,639.1	10,080.9	10,934.3	11,000.0	9,519.7	-1,480.3	86.5%	-1,414.6	87.1%
1.3	მიწაზე ქონების გადასახადი	1,701.7	1,256.0	1,606.1	1,285.4	1,008.2	1,050.0	1,312.9	262.9	125.0%	304.7	130.2%
2	სხვა გადასახადები	721.4	394.7	39.7	7.1	2.7		2.7	-	-	-	-
<b>სულ</b>		<b>8,381.9</b>	<b>7,973.8</b>	<b>10,547.3</b>	<b>11,918.1</b>	<b>12,619.0</b>	<b>12,570.0</b>	<b>11,628.1</b>	<b>-941.9</b>	<b>92.5%</b>	<b>-990.9</b>	<b>92.1%</b>

2013 წელს ადგილობრივი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები ძირითადად ქონების გადასახადის სახით იყო წარმოდგენილი.

საგადასახადო შემოსავლების ცალკეული სახეების მიხედვით შესრულების მდგომარეობა შემდეგია:

**ქონების გადასახადი** – საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით ქონების გადასახადი აერთიანებს საწარმოთა ქონების გადასახადს (გარდა მიწისა), ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადს (გარდა მიწისა) და მიწაზე ქონების გადასახადს. ქონების გადასახადის 2013 წლის გეგმიური მაჩვენებელი 12,570.0 ათასი ლარით განისაზღვრა, ფაქტიურმა შესრულებამ 11,625.3 ათასი ლარი შეადგინა რაც გეგმის 92.5%-ია.

ქონების გადასახადის ცალკეული სახეობის მიხედვით შესრულების მდგომარეობა შემდეგია:

(ათასი ლარი)

№	დასახელება	2013 წლის გეგმა	2013 წლის ფაქტი	გადახრა	შესრულება %
1	<b>სულ ქონების გადასახადი, მათ შორის:</b>	<b>12,570.0</b>	<b>11,625.3</b>	<b>-944.7</b>	<b>92.5%</b>
1.1	საწარმოთა ქონების გადასახადი (გარდა მიწისა)	11,000.0	9,519.7	-1,480.3	86.5%
1.2	ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადი (გარდა მიწისა)	520.0	792.8	272.8	152.5%
1.3	მიწაზე ქონების გადასახადი	1,050.0	1,312.9	262.9	125.0%



საწარმოთა ქონების გადასახადის საპროგნოზო მოცულობა განისაზღვრა 11,000.0 ათასი ლარით. ფაქტიურად მობილიზებული იქნა 9,519.7 ათასი ლარი. რაც გეგმის 86.5%-ია. გეგმის შესრულების დაბალი მაჩვენებელი განპირობებულია იმ ფაქტით, რომ ადგილობრივ ბიუჯეტში საწარმოთა ქონების ყველაზე მსხვილი გადამხდელების უმრავლესობის მიერ (მაგ.: შპს „ბათუმის ნავთობტერმინალი“, შპს „GIMG“, შპს „ტურინვესტი“) არ განხორციელებულა საწარმოთა ქონების გადასახადის გადახდა 2013 წელს, რისი მიზეზიც იყო საერთო-სახელმწიფოებრივ გადასახადებში (უპირატესად დამატებული ღირებულების გადასახადში) არსებული ზედმეტობა.

ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადის სახით დაგეგმილი იყო 520.0 ათასი ლარის მობილიზება, ფაქტიურად მიღებული იქნა 792.8 ათასი ლარი, რაც გეგმის 152.5%-ია. ქონების გადასახადის აღნიშნულ სახეში გეგმის შესრულების მაღალი მაჩვენებელი განპირობებულია იმ ფაქტით, რომ ცალკეული ორგანიზაციების მიერ გადასახადი გადახდილია შეცდომით ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადის კოდზე, ნაცვლად საწარმოთა ქონების გადასახადისა.


მიწაზე ქონების გადასახადი მობილიზებული იქნა 1,312.9 ათასი ლარის ოდენობით, რაც გეგმის (1,050.0 ათასი ლარი) 125.0%-ია. გეგმის შესრულების მაღალი მაჩვენებელი განპირობა ცალკეული ორგანიზაციების მიერ (მაგ.: სს „საქართველოს რკინიგზა“, შპს „მიწის რეაბილიტაციის სააგენტო“, შპს „სისტემ ინშაათ“, შპს „რელიევი ფროფერტი მენეჯმენტი“) განხორციელებულმა მსხვილმა გადახდებმა, რომლებიც წინა წლებში არ ფიქსირდებოდა.

(ათასი ლარი)

№	დასახელება	2008 წლის ფაქტი	2009 წლის ფაქტი	2010 წლის ფაქტი	2011 წლის ფაქტი	2012 წლის ფაქტი	2013 წლის ფაქტი
1	<b>სულ ქონების გადასახადი, მათ შორის:</b>	<b>7,660.5</b>	<b>7,579.1</b>	<b>10,507.6</b>	<b>11,911.0</b>	<b>12,616.3</b>	<b>11,625.3</b>
1.1	საწარმოთა ქონების გადასახადი (გარდა მიწისა)	5,730.2	6,200.4	8,639.1	10,080.9	10,934.3	9,519.7
1.2	ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადი (გარდა მიწისა)	228.6	122.7	262.4	544.7	673.8	792.8
1.3	მიწაზე ქონების გადასახადი	1,701.7	1,256.0	1,606.1	1,285.4	1,008.2	1,312.9




### ქონების გადასახადის სტრუქტურა




საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ქონების გადასახადი ბიუჯეტში არათანაბარი სიდიდით აისახებოდა, რომლის ფაქტიური მობილიზაციაც ცალკეული თვეების მიხედვით შემდეგია:

### ქონების გადასახადის შესრულება ცალკეული თვეების მიხედვით





**ქონების გადასახადის შესრულება ცალკეული თვეების მიხედვით (ნაზარდი ჯამით)**



**სხვა გადასახადები** – აღნიშნულ სახეში მობილიზებული იქნა 2.7 ათასი ლარი, რომელიც წინა წლების გაუქმებული ადგილობრივი გადასახადებიდან მიღებული შემოსავლებია.

**ფინანსური დახმარება და გრანტები**

2013 წლის განმავლობაში თვითმმართველი ქალაქის ბათუმის ბიუჯეტში ფინანსური დახმარების სახით მიღებული იქნა 54,416.5 ათასი ლარი, გეგმიური მაჩვენებელი შეადგენდა 63,329.8 ათას ლარს, სხვაობა შეადგენს 8,913.3 ათას ლარს.

მიღებული ფინანსური დახმარებიდან გათანაბრებითი ტრანსფერი შეადგენს 44,494.8 ათას ლარს, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მიღებული ფინანსური სახსრები შეადგენს 1,407.8 ათას ლარს, ასევე, სხვა სპეციალური ტრანსფერის სახით საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან 2013 წელს მიღებული იქნა 624.7 ათასი ლარი. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან მიღებული ფინანსური დახმარება 7,889.2 ათას ლარს შეადგენს.

ადგილობრივი ბიუჯეტის მთლიან შემოსულობებში ფინანსური დახმარების წილი 61.7%-ია.



(ათასი ლარი)

№	დასახელება	2013 წლის გეგმა	2013 წლის შესრულება	გადახრა
1	სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული ფინანსური დახმარება	54,568.0	46,527.3	8,040.7
1.1	გათანაბრებითი ტრანსფერი	44,494.8	44,494.8	0.0
1.2	სპეციალური ტრანსფერი, მათ შორის:	10,073.2	2,032.5	8,040.7
	საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი	9,448.4	1,407.8	8,040.6
	სხვა სპეციალური ტრანსფერი	624.8	624.7	0.1
2	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან მიღებული ფინანსური დახმარება	8,761.8	7,889.2	872.6
<b>ჯამი</b>		<b>63,329.8</b>	<b>54,416.5</b>	<b>8,913.3</b>

**საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მიღებული სახსრები**

ქ. ბათუმის ბიუჯეტში საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მისაღები სახსრების გეგმიურმა მაჩვენებელმა შეადგინა 9,448.4 ათასი ლარი. საანგარიშო პერიოდში ფინანსური დახმარების თანხის მიღება არ მომხდარა. კერძოდ საქართველოს 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდიდან თანხები გამოიყო შემდეგი პროექტების დასაფინანსებლად:

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 19 აგვისტოს №1083 განკარგულების შესაბამისად, ქ. ბათუმში ახალი სარაგბო სტადიონის მშენებლობის მიზნით გამოყოფილი იქნა 3.600.0 ათასი ლარი, რისი ჩარიცხვაც საანგარიშო პერიოდში არ განხორციელებულა. აღნიშნული სამუშაოების განხორციელება იგეგმება 2014 წელს.

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 აგვისტოს №1099 განკარგულების შესაბამისად, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონში განხორციელებული ცვლილების შედეგად სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების შემოსავლების დანაკლისის შევსების მიზნით გამოყოფილი იქნა 775.6 ათასი ლარი, რაც სრულად იქნა ჩარიცხული ადგილობრივი ბიუჯეტის ანგარიშზე.

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 22 აგვისტოს №1111 განკარგულების შესაბამისად, სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტების (ჭავჭავაძისა და აბუსერიძის ქუჩებზე ასფალტის საფარის დაგება, წრიულის მოწყობა; ინასარიძის ქუჩაზე ასფალტის საფარის დაგება (აბაშიძის ქუჩიდან კობალაძის ქუჩამდე); გონიო-კვარიათში ზღვისკენ გამსვლელი გზების კეთილმოწყობა; ნიჟარაძის ქუჩაზე მდ. ბარცხანას მარცხენა ნაპირის გამაგრება გაბიონური წყობით; ჰელიმიძის ქუჩის





სანიაღვრე სისტემის მოწყობა; კახაბრის ქუჩაზე შამბოების მოწყობის სამუშაოები და მრავალკორპუსიანი სახლების ეზოების კომუნალური სისტემების მოწესრიგება) დაფინანსების მიზნით გამოყოფილი იქნა 5,072.8 ათასი ლარი. საანგარიშო პერიოდში ადგილობრივი ბიუჯეტის ანგარიშზე შესრულებული სამუშაოების გათვალისწინებით ჩაირიცხა 632.2 ათასი ლარი. აღნიშნული სამუშაოების დასრულება იგეგმება 2014 წელს.

(ათასი ლარი)

№	საფუძველი	დანიშნულება	გამოყოფილი თანხა	ჩამორიცხული თანხა	სხვაობა
1	საქართველოს მთავრობის 2013 წლის 19 აგვისტოს №1083 განკარგულება	სარაგბო სტადიონის მშენებლობის მიზნით	3,600.0		3,600.0
2	საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 აგვისტოს №1099 განკარგულება	სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების შემოსავლების დანაკლისის შევსების მიზნით	775.6	775.6	0
3	საქართველოს მთავრობის 2013 წლის 22 აგვისტოს №1111 განკარგულება	სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსების მიზნით	5,072.8	632.2	4,440.6
<b>ჯამი</b>			<b>9,448.4</b>	<b>1,407.8</b>	<b>8,040.6</b>

სხვაობის თანხიდან 2013 წელს გაფორმებული ხელშეკრულებების შესაბამისად, სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების დასრულების მიზნით საქართველოს მთავრობის 2014 წლის 13 იანვრის №35 განკარგულების შესაბამისად თვითმმართველი ქალაქის ბათუმის ბიუჯეტისათვის გამოყოფილი იქნა ფინანსური დახმარება 7,372.5 ათასი ლარი.

**აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან მიღებული სახსრები**

2013 წლის განმავლობაში ქ. ბათუმის ბიუჯეტში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან მიღებულმა სახსრებმა შეადგინა 8,761.8 ათასი ლარი, მათ შორის:

- ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის და სხვა მიმდინარე ღონისძიებების დასაფინანსებლად 6,321.7 ათასი ლარი;

- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2013 წლის 28 მაისის №101 განკარგულების შესაბამისად, სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ გაწეული ხარჯების ანაზღაურების მიზნით - 977.1 ათასი ლარი, საანგარიშო პერიოდში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ ჩამორიცხულ იქნა 104.5 ათასი ლარი;

- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2013 წლის 23 დეკემბრის №319 ბრძანებით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სარეზერვო ფონდიდან, ქ. ბათუმში, ფაღავას ჩიხი №15-ში მცხოვრებ, ხანძრის შედეგად დაზარალებული ნუგზარ შეყილაძის მატერიალური დახმარების მიზნით - 8.0 ათასი ლარი.



- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №262 განკარგულების შესაბამისად (საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 დეკემბრის №2174 განკარგულების საფუძველზე) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან, 2013 წლის ციტრუსის სეზონის მოსავლის აღების ღონისძიებათა ხელშეწყობისა და მეციტრუსეობის დარგში დასაქმებული მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით - 1,455.0 ათასი ლარი.

(ათასი ლარი)

№	საფუძველი	დანიშნულება	გამოყოფილი თანხა	ჩამორიცხული თანხა	სხვაობა
1	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2014 წლის დამტკიცებული რესპუბლიკური ბიუჯეტი	ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის და სხვა მიმდინარე ღონისძიებების დასაფინანსებლად	6,321.7	6,321.7	0
1	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2013 წლის 28 მაისის №101 განკარგულება	სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ გაწეული ხარჯების ანაზღაურების მიზნით	977.1	104.5	872.6
2	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2013 წლის 23 დეკემბრის №319 ბრძანება	2013 წლის 8 ოქტომბერს ქ. ბათუმში, ფაღავას ჩიხი №15-ში მდებარე საცხოვრებელ სახლში მომხდარი ხანძრის შედეგად დაზარალებული მოქალაქის ნუგზარ შეყილაძისათვის ოჯახის დახმარების მიზნით	8.0	8.0	0
3	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №262 განკარგულება	2013 წლის ციტრუსის სეზონის მოსავლის აღების ღონისძიებათა ხელშეწყობისა და მეციტრუსეობის დარგში დასაქმებული მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით	1,455.0	1,455.0	0
<b>ჯამი</b>			<b>8,761.8</b>	<b>7,889.2</b>	<b>872.6</b>

სხვაობის თანხიდან 2013 წელს გაფორმებული ხელშეკრულებების შესაბამისად, სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების დასრულების მიზნით საქართველოს მთავრობის 2014 წლის 7 თებერვლის №191 განკარგულების შესაბამისად თვითმმართველი ქალაქის ბათუმის ბიუჯეტისათვის გამოყოფილი იქნა ფინანსური დახმარება 484.6 ათასი ლარი.

**სხვა სპეციალური ტრანსფერის სახით მიღებული სახსრები**

სხვა სპეციალური ტრანსფერის სახით ქ. ბათუმის ბიუჯეტში მიღებული იქნა 624.7 ათასი ლარი, მათ შორის:

- 607.5 ათასი ლარი - საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან „ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის“ (I და II ფაზა) პროექტის ფარგლებში გერმანიის რეკონსტრუქციის ბანკს (KfW), საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და თვითმმართველ ქალაქ ბათუმის შორის გაფორმებული ხელშეკრულებების მიხედვით, პროექტის ფარგლებში შესყიდული საქონელსა და მომსახურებაზე დამატებული ღირებულების გადასახადის 50 %-ის გადახდის მიზნით;

- 17.2 ათასი ლარი - ქობულეთის მუნიციპალიტეტიდან, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2013 წლის 27 მარტის №59 და 2013 წლის 31 ივლისის №138



განკარგულებების შესაბამისად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2012 წლის ციტრუსის სეზონის მოსავლის აღების ღონისძიებათა ხელშეწყობის და მეციტრუსეობის დარგში დასაქმებული მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით.

### სხვა შემოსავლები

სხვა შემოსავლების 2013 წლის საპროგნოზო მოცულობა 18,696.4 ათასი ლარით განისაზღვრა, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 21,563.2 ათასი ლარი, ანუ გეგმის 115.3%. სხვა შემოსავლების წილი ადგილობრივი ბიუჯეტის მთლიან შემოსულობებში 24.5%-ს შეადგენს.

საანგარიშო პერიოდში სხვა შემოსავლების მობილიზაციის მდგომარეობა ცალკეული სახეების მიხედვით შემდეგია:

**საკუთრებიდან მიღებული შემოსავლების** სახით მობილიზებულია 3,824.3 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (3,900.0 ათასი ლარი) 98.1%-ია. მათ შორის:

- **პროცენტებიდან** მობილიზებულია 3,025.4 ათასი ლარი, რომელიც მოიცავს ადგილობრივი ბიუჯეტის მიმდინარე საბანკო ანგარიშზე წლის განმავლობაში დარიცხულ საპროცენტო შემოსავალს.

- **რენტის** სახით მიღებულია 798.9 ათასი ლარი. აქედან ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებელზე მოდის 268.8 ათასი ლარი, მიწის იჯარიდან და მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან შემოსავალზე 530.2 ათასი ლარი. 2013 წელს თვითმმართველობის მიერ მიწის იჯარით გაცემაზე გაფორმებული ხელშეკრულებების ნაწილი (4 ხელშეკრულება) შეწყვეტილი იქნა, რის გამოც სხვა შემოსავლის აღნიშნულ სახეში გეგმა ვერ შესრულდა.

**საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან** მობილიზებულია 11,702.6 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (9,340.0 ათასი ლარი) 125.3%-ია. აქედან:

- **ადმინისტრაციული მოსაკრებლებისა და გადასახდელების** სახით – 11,696.8 ათასი. მათ შორის:

- **მოსაკრებელი მშენებლობის ნებართვაზე (გარდა განსაკუთრებული მშენებლობის, რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა)** – 361.0 ათასი ლარი. კერძოდ, ქ. ბათუმის მერიის არქიტექტურისა და ურბანული დაგეგმარების სამსახურის მონაცემებით 2013 წლის განმავლობაში გაიცა 933 მშენებლობის ნებართვა. მათ შორის: 130.8 ათასი კვ.მ სასტუმროების მშენებლობის ფართობზე და 405.0 ათასი კვ.მ მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების მშენებლობის ფართობზე;

- **საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი** – 1.4 ათასი ლარი;

- **სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი** – 11.4 ათასი ლარი;


- **სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი** – 9,544.7 ათასი ლარი, მათ შორის:

- *სამორინის მაგიდიდან* – 4,187.2 ათასი ლარი;



სათამაშო აპარატებიდან – 4,994.0 ათასი ლარი;  
სისტემურ-ელექტრონული ფორმის თამაშობიდან – 362.4 ათასი ლარი  
სხვა არაკლასიფიცირებული სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი – 1.1 ათასი  
ლარი;

### სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელიდან ქ. ბათუმის ბიუჯეტში 2013 წელს მიღებული თანხები



- მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მობილიზებული იქნა 1,755.9 ათასი ლარის ოდენობით, სხვა შემოსავლების აღნიშნულ სახელში გეგმის შესრულებას დააკლდა 244.1 ათასი ლარი, რაც განაპირობა „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონში 2013 წლის 28 ივნისს განხორციელებულმა ცვლილებებმა, რომლის მიხედვითაც ფიზიკური და იურიდიული პირები გათავისუფლდნენ 2013 წლის 1 იანვრამდე დარიცხული დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის დავალიანების გადახდისაგან;

- სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი – 22.5 ათასი ლარი;
- არასაბაზრო წესით გაყიდული საქონლისა და მომსახურებიდან – 5.8 ათასი ლარი, რომელიც აერთიანებს სხვა არაკლასიფიცირებული მომსახურების გაწევიდან მიღებულ შემოსავალს (ძირითადად შენობა-ნაგებობების იჯარიდან მიღებულ შემოსავალს).

სანქციების (ჯარიმები და საურავები) სახით მობილიზებულია 4,906.3 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (4,711.4 ათასი ლარის) 104.1 %-ია. მათ შორის:

შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროებში - 263.0 ათასი ლარი;





შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო გარემოს დაცვის, ბუნებათსარგებლობის სფეროში - 289.8 ათასი ლარი;

საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის - 2,369.9 ათასი ლარი;

შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) უბილეთო მგზავრობის გამო - 69.5 ათასი ლარი;

სხვა ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო ტრანსპორტზე საგზაო მეურნეობისა და კავშირგაბმულობის დარგში - 727.9 ათასი ლარი;

შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) საზოგადოებრივი წესრიგის ხელმყოფი ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო - 43.2 ათასი ლარი;

შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) მმართველობის დადგენილი წესის ხელმყოფი ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო - 35.4 ათასი ლარი;

შემოსავალი სხვა არაკლასიფიცირებული სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო - 32.1 ათასი ლარი;

შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევის გამო - 125.1 ათასი ლარი;

შემოსავალი ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოდან - 684.8 ათასი ლარი;

შემოსავალი სხვა არაკლასიფიცირებული სანქციებიდან - 265.4 ათასი ლარი.

**შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლების** სახით მიღებულია 1,130.0 ათასი ლარი. შემოსავლის აღნიშნულ სახეში გეგმა 745.0 ათას ლარს შეადგენდა. ფაქტიურად მოხილიზებული იქნა გეგმის 151.7%. შემოსავლის აღნიშნული სახე აერთიანებს:

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის არასასოფლო-სამეურნეო მიზნით გამოყოფისას სანაცვლო მიწის ათვისების ღირებულებისა და მიყენებული ზიანის ანაზღაურებიდან მიღებულ შემოსავალს - 177.6 ათასი ლარი;

მუნიციპალური პროგრამის დაფინანსებას (გოგებაშვილის ქუჩაზე და ევროპის მოედნის ირგვლივ მდებარე შენობების რეკონსტრუქციის და ფართის დამატების თაობაზე გაფორმებული ხელშეკრულებების ფარგლებში) - 323.5 ათასი ლარი;

ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვიდან მიღებულ საფასურს - 74.5 ათასი ლარი;

გარე რეკლამის განთავსების უფლების საფასურს - 160.6 ათასი ლარი;

გარე ვაჭრობის უფლების საფასურს - 43.7 ათასი ლარი;

პარკირების ორგანიზების უფლების გადაცემის საფასურს - 67.6 ათასი ლარი;

მიყენებული ზიანის ანაზღაურებიდან მიღებულ შემოსავალს - 10.3 ათასი ლარი;

წინა წელს გამოუყენებელ და დაბრუნებულ საბიუჯეტო სახსრებს - 244.1 ათასი ლარი;

სხვა დანარჩენ არაკლასიფიცირებულ შემოსავლებს - 28.1 ათასი ლარი.





**თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის 2013 წლის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები**

(ათასი ლარი)

დასახელება	2013 წლის გეგმა	2013 წლის შესრულება	გადახრა
<b>სხვა შემოსავლები</b>	<b>18,696.4</b>	<b>21,563.2</b>	<b>2,866.8</b>
<b>შემოსავლები საკუთრებიდან</b>	<b>3,900.0</b>	<b>3,824.3</b>	<b>-75.7</b>
<b>პროცენტები</b>	<b>3,025.0</b>	<b>3,025.4</b>	<b>0.4</b>
<b>რენტა</b>	<b>875.0</b>	<b>798.9</b>	<b>-76.1</b>
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	250.0	268.8	18.8
შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	625.0	530.2	-94.8
<b>საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია</b>	<b>9,340.0</b>	<b>11,702.6</b>	<b>2,362.6</b>
<b>ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდებლები</b>	<b>9,340.0</b>	<b>11,696.8</b>	<b>2,356.8</b>
სანებართვო მოსაკრებელი	340.0	361.0	21.0
საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი		1.4	1.4
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	0.0	11.4	11.4
სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	7,000.0	9,544.7	2,544.7
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	2,000.0	1,755.9	-244.1
სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი	0.0	22.5	22.5
<b>არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება</b>	<b>0.0</b>	<b>5.8</b>	<b>5.8</b>
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან და საქონლის რეალიზაციიდან		5.8	5.8
<b>ჯარიმები, სანქციები და საურავები</b>	<b>4,711.4</b>	<b>4,906.3</b>	<b>194.9</b>
<b>შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები</b>	<b>745.0</b>	<b>1,130.0</b>	<b>385.0</b>




**თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის ბიუჯეტის სხვა შემოსავლების დინამიკა**

(ათასი ლარი)


დასახელება	2008 წლის ფაქტი	2009 წლის ფაქტი	2010 წლის ფაქტი	2011 წლის ფაქტი	2012 წლის ფაქტი	2013 წლის ფაქტი
<b>სხვა შემოსავლები</b>	<b>6,868.9</b>	<b>7,822.1</b>	<b>12,756.3</b>	<b>14,288.7</b>	<b>22,440.9</b>	<b>21,563.2</b>
<b>შემოსავლები საკუთრებიდან</b>	<b>786.8</b>	<b>910.8</b>	<b>1,790.3</b>	<b>2,797.9</b>	<b>7,896.3</b>	<b>3,824.3</b>
<b>პროცენტები</b>	<b>386.3</b>	<b>543.1</b>	<b>1,392.1</b>	<b>1,925.9</b>	<b>6,980.4</b>	<b>3,025.4</b>
<b>რენტა</b>	<b>400.5</b>	<b>367.7</b>	<b>398.2</b>	<b>872.0</b>	<b>915.9</b>	<b>798.9</b>
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	88.7	80.5	164.6	291.1	283.1	268.8
შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	311.8	287.2	233.6	580.9	632.8	530.2
<b>საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია</b>	<b>5,483.9</b>	<b>5,039.0</b>	<b>7,309.5</b>	<b>8,635.0</b>	<b>9,995.8</b>	<b>11,702.6</b>
<b>ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები</b>	<b>5,437.1</b>	<b>4,946.3</b>	<b>7,267.7</b>	<b>8,620.2</b>	<b>9,990.2</b>	<b>11,696.8</b>
სანებართვო მოსაკრებელი	247.1	217.8	372.8	215.4	373.9	361.0
სახელმწიფო ბაჟი	1.1	4.5	2.0			
საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი	0.1	0.4	0.5	0.9	1.4	1.4
სატენდერო მოსაკრებელი	44.6	38.2	55.6			
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	3.0	0.4	2.2	13.2	10.2	11.4
სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	4,040.0	3,620.8	5,914.4	7,338.5	7,976.6	9,544.7
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	1,101.1	1,064.2	920.2	1,042.6	1,605.6	1,755.9
სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი	0.1		0.0	9.56	22.50	22.50
<b>არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება</b>	<b>46.8</b>	<b>92.7</b>	<b>41.8</b>	<b>14.8</b>	<b>5.6</b>	<b>5.8</b>
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან და საქონლის რეალიზაციიდან	46.8	92.7	41.8	14.8	5.6	5.8
<b>ჯარიმები, სანქციები და საურავები</b>	<b>585.9</b>	<b>1,266.7</b>	<b>2,297.4</b>	<b>2,370.6</b>	<b>3,188.1</b>	<b>4,906.3</b>
<b>შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები</b>	<b>12.3</b>	<b>605.6</b>	<b>1,359.1</b>	<b>485.2</b>	<b>1,360.7</b>	<b>1,130.0</b>



### თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის 2013 წლის ბიუჯეტის სხვა შემოსავლების სტრუქტურა



### თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის 2013 წლის ბიუჯეტის სხვა შემოსავლების დინამიკა



#### არაფინანსური აქტივების კლება

2013 წლის განმავლობაში არაფინანსური აქტივებიდან მიღებული შემოსულობა 553.4 ათას ლარს შეადგენს, რაც შესაბამისი გეგმის (560.0 ათასი ლარის) 98.8%-ია. შემოსავლის აღნიშნული სახის წილი ადგილობრივი ბიუჯეტის მთლიან შემოსულობებში შეადგენს 0.6%-ს. არაფინანსური აქტივების კლება მოიცავს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული მიწის გაყიდვიდან მიღებულ შემოსავალს, საიდანაც საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მიღებული იქნა 304.1 ათასი ლარი, ასევე შენობა ნაგებობების გაყიდვიდან მიღებულ შემოსავალს – 186.2 ათასი ლარი, ხოლო 63.1 ათასი ლარი მიწაზე უფლების აღიარებიდან მიღებული შემოსავალია.



### თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის 2013 წლის ბიუჯეტის ნაშთის ცვლილება

2013 წლის 1 იანვრის მდგომარეობით საბიუჯეტო ანგარიშზე ნაშთი 19,377.5 ათას ლარს შეადგენდა, საიდანაც თვითმმართველი ქალაქის ბათუმის 2013 წლის ბიუჯეტის ნაშთის ცვლილების გეგმიური მაჩვენებელი განისაზღვრა -9,284.6 ათასი ლარით. აღნიშნული მოიცავს ფინანსურ აქტივებს, მიმართული ხარჯების დასაფარავად წლის დასაწყისისათვის არსებული საბიუჯეტო სახსრების ნაშთიდან.

2014 წლის 1 იანვრის მდგომარეობით საბიუჯეტო ანგარიშზე ნაშთი 21,970.2 ათას ლარს შეადგენდა, რაც განპირობებული იყო სხვადასხვა ობიექტური მიზეზების გამო ადგილობრივი ბიუჯეტით დაგეგმილი ღონისძიებების სრულად დაუფინანსებლობით და მომდევნო საბიუჯეტო წელს გადატანით.


დასახელება	2013 წლის გეგმა	2013 წლის შესრულება
ნაშთი 01.01.2013		19,377.5
<b>ნაშთის ცვლილება</b>	<b>-9,284.6</b>	<b>2,592.7</b>
ზრდა		2,631.1
ვალუტა და დეპოზიტები		2,631.1
კლება	9,284.6	38.4
ვალუტა და დეპოზიტები	9,284.6	38.4
ნაშთი 01.01.2014		21,970.2



## თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის 2013 წლის ბიუჯეტის გადასახდელები

### ადგილობრივი ბიუჯეტის გადასახდელები ფუნქციონალურ ჭრილში

ძირითადი ფუნქციონალური კატეგორიების მიხედვით თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის 2013 წლის ბიუჯეტის გადასახდელები შემდეგნაირად გადანაწილდა (იხილეთ დიაგრამა):








**თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის 2013 წლის ბიუჯეტის ხარჯებისა და  
 არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია**

(ათასი ლარი)

№	გადასახდელების დასახელება	გადასახდელები			
		დაზუსტებული გეგმა	საკასო შესრულება	შესრულების %	%-ლი წილი
<b>1</b>	<b>საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება</b>	<b>14,107.5</b>	<b>13,260.0</b>	<b>94.0%</b>	<b>15.8%</b>
1.1	ადმსრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	11,415.4	10,702.6	93.8%	12.8%
1.2	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	2,601.9	2,467.2	94.8%	2.9%
1.3	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში	90.2	90.1	99.9%	0.1%
<b>2</b>	<b>თავდაცვა</b>	<b>45.0</b>	<b>39.7</b>	<b>88.2%</b>	<b>0.1%</b>
<b>3</b>	<b>ეკონომიკური საქმიანობა</b>	<b>26,767.5</b>	<b>18,251.9</b>	<b>68.2%</b>	<b>21.8%</b>
3.1	სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა	1,682.2	77.0	4.6%	0.1%
3.2	ტრანსპორტი	24,436.8	17,628.2	72.1%	21.0%
3.3	ეკონომიკის სხვა დარგები	185.0	185.0	100.0%	0.2%
3.4	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობაში	463.5	361.6	78.0%	0.4%
<b>4</b>	<b>გარემოს დაცვა</b>	<b>10,085.8</b>	<b>9,312.3</b>	<b>92.3%</b>	<b>11.1%</b>
4.1	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	5,981.5	5,657.4	94.6%	6.7%
4.2	ჩამდინარე წყლების მართვა	4,104.3	3,654.9	89.1%	4.4%
<b>5</b>	<b>საბინაო-კომუნალური მეურნეობა</b>	<b>18,634.5</b>	<b>15,835.9</b>	<b>85.0%</b>	<b>18.9%</b>
5.1	კომუნალური მეურნეობის განვითარება	8,855.5	6,536.9	73.8%	7.8%
5.2	წყალმომარაგება	4,976.9	4,620.2	92.8%	5.5%
5.3	გარე განათება	4,121.3	4,092.5	99.3%	4.9%
5.4	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	680.8	586.3	86.1%	0.7%
<b>6</b>	<b>ჯანმრთელობის დაცვა</b>	<b>1,945.8</b>	<b>1,845.6</b>	<b>94.8%</b>	<b>2.2%</b>
<b>7</b>	<b>დასვენება, კულტურა და რელიგია</b>	<b>17,860.0</b>	<b>12,659.7</b>	<b>70.9%</b>	<b>15.1%</b>
7.1	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	12,650.3	7,711.7	61.0%	9.2%
7.2	მომსახურება კულტურის სფეროში	4,848.9	4,704.4	97.0%	5.6%
7.3	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	360.8	243.7	67.5%	0.3%
<b>8</b>	<b>განათლება</b>	<b>8,034.7</b>	<b>7,609.2</b>	<b>94.7%</b>	<b>9.1%</b>
<b>9</b>	<b>სოციალური დაცვა</b>	<b>5,171.6</b>	<b>5,023.3</b>	<b>97.1%</b>	<b>6.0%</b>
<b>გადასახდელების ჯამი</b>		<b>102,652.4</b>	<b>83,837.6</b>	<b>81.7%</b>	<b>100.0%</b>



**ქ. ბათუმის 2013 წლის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში (გეგმა-ფაქტი)**



საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაზე 2013 წლის ბიუჯეტით დაგეგმილი იყო 14,107.5 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა კი 13,260.0 ათასი ლარი შეადგინა, ანუ გეგმის 94.0%. ამ დარგში გაერთიანებულია ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფის, ფინანსური და ფისკალური საქმიანობის (სარეზერვო ფონდი, კომუნალური გადასახადების ერთიანი ადმინისტრირება), ვალის მომსახურებასთან დაკავშირებული საპროცენტო ხარჯები და წინა პერიოდის დავალიანებების დაფარვის (მათ შორის სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების) ხარჯები.

თავდაცვის სფეროსათვის გათვალისწინებული იყო 45.0 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 39.7 ათასი ლარი, ანუ გეგმა შესრულდა 88.2%-ით, აღნიშნული სფერო მოიცავს რეზერვისტების და წვევამძღვლების ტრასპორტირების ხარჯებს.

ეკონომიკური საქმიანობისათვის დაგეგმილი იყო 26,767.5 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა კი 18,251.9 ათასი ლარი შეადგინა, ანუ გეგმის 68.2%. მისი ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში შეადგენს 21.3%-ს. აღნიშნული სფერო მოიცავს ციტრუსის ნაყოფის რეალიზაციის ხელშეწყობის, გზების, ქუჩებისა და ტროტუარების კეთილმოწყობის, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მართვა და ექსპლოატაციის, მუნიციპალური სატრანსპორტო სისტემის განვითარების, ნაპირგამაგრებითი სამუშაოების, ტურისტული ობიექტების მართვის და სასაფლაოების მოვლა-პატრონობის პროგრამების დაფინანსებას.



**გარემოს დაცვაზე** გათვალისწინებული იყო 10,085.8 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა კი 9,312.3 ათასი ლარი შეადგინა, ანუ გეგმის 92.3%. ამ სფეროში გაერთიანებულია ქალაქის დასუფთავების და სანიაღვრე-საკანალიზაციო სისტემების სარეაბილიტაციო პროგრამებზე გაწეული ხარჯები.

**საბინაო-კომუნალურ მეურნეობაზე** გამოყოფილი სახსრების გეგმა, რომელშიც შედის ქალაქის ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენისა და ტექნიკური ზედამხედველობის, ქალაქის დაგეგმარების, საკომპენსაციო თანხებით მოქალაქეთა უზრუნველყოფის, ბათუმის ისტორიული უბნებისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროგრამების, წყლის სისტემების რეაბილიტაციის, ბათუმის კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაციის პროექტის თანადაფინანსების, გარე განათების რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის, სანიტარული დაცვის უზრუნველყოფის ღონისძიებების და ქალაქის გაფორმების, ასევე ბათუმის განვითარების ფონდის პროგრამების ხარჯები, შეადგენდა 18,634.5 ათას ლარს, ფაქტიურმა ხარჯებმა 15,835.9 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის 85.0%-ია.

**ჯანმრთელობის სფეროს** დაფინანსების მიზნით განსაზღვრული იყო 1,945.8 ათასი ლარი, გაწეული საკასო ხარჯი შეადგენს 1,845.6 ათას ლარს, რაც დაგეგმილის 94.8%-ია.

**დასვენების, კულტურისა და რელიგიის** სფეროსთვის გამოყოფილი სახსრების გეგმა შეადგენდა 17,860.0 ათას ლარს, ფაქტიურმა ხარჯებმა 12,659.7 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის 70.9%-ია. მისი ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში შეადგენს 14.8%-ს. ამ სფეროში გაერთიანებულია ქალაქის პარკების, სკვერებისა და მოედნების კეთილმოწყობის, ქალაქის გამწვანების ღონისძიებები, სასპორტო და დასვენების ობიექტების რეაბილიტაციის, სპორტული ღონისძიებების, სპორტული საკლუბო გუნდების მხარდაჭერის, სპორტის ზამთრის სახეობის განვითარების ხელშეწყობის პროგრამები, ასევე კულტურის სფეროში მომსახურების ხარჯები და რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობის მხარდაჭერის პროგრამები.

**განათლების სფეროზე** გათვალისწინებული იყო 8,034.7 ათასი ლარი, საკასო შესრულება შეადგენს 7,609.2 ათას ლარს, ანუ გეგმის 94.7%-ს. ამ დარგში გაერთიანებულია სკოლამდელი აღზრდის საფეხურის დაფინანსება და საბავშვო ბაღების სარეაბილიტაციო ღონისძიებების ხარჯები.

**სოციალურ დაცვაზე** დაგეგმილი იყო 5,171.6 ათასი ლარი, ფაქტიურად გახარჯულ იქნა 5,023.3 ათასი ლარი, რაც გეგმის 97.1%-ია.



**ადგილობრივი ბიუჯეტის გადასახდელები ეკონომიკურ ჭრილში**


თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის 2013 წლის ბიუჯეტის გადასახდელებს ეკონომიკურ ჭრილში აქვს შემდეგი სახე:

(ათასი ლარი)


№	გადასახდელების დასახელება	ადგილობრივი ბიუჯეტის გადასახდელები			
		დაზუსტებული გეგმა	საკასო ხარჯი	შესრულების %	%-ლი წილი
I	<b>ხარჯები</b>	<b>64,263.1</b>	<b>58,457.8</b>	<b>91.0%</b>	<b>68.3%</b>
1	შრომის ანაზღაურება	8,221.6	8,221.5	100.0%	9.6%
2	საქონელი და მომსახურება	16,388.2	15,019.4	91.6%	17.6%
2.1	შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება	142.4	128.3	90.1%	0.1%
2.2	მივლინებები	135.0	129.8	96.2%	0.2%
2.3	ოფისის ხარჯები	639.5	545.6	85.3%	0.6%
2.4	წარმომადგენლობითი ხარჯები	116.0	74.5	64.2%	0.1%
	სამედიცინო ხარჯები	1.0	0.2	20.0%	0.0%
2.6	რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯები	33.8	31.5	93.1%	0.0%
2.7	ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები	480.4	381.5	79.4%	0.4%
2.8	სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	14,840.1	13,728.1	92.5%	16.0%
3	პროცენტი	2,601.9	2,467.2	94.8%	2.9%
4	სუბსიდიები	22,705.1	22,013.3	97.0%	25.7%
5	სოციალური უზრუნველყოფა	5,042.0	4,809.9	95.4%	5.6%
6	სხვა ხარჯები	9,304.3	5,926.4	63.7%	6.9%
II	არაფინანსური აქტივების ზრდა	38,389.3	25,379.9	66.1%	29.7%
III	ვალდებულებების კლება	1,788.4	1,730.9	96.8%	2.0%
	<b>ჯამი</b>	<b>104,440.8</b>	<b>85,568.5</b>	<b>81.9%</b>	<b>100%</b>



**თვითმმართველი ქალაქის ბათუმის 2013 წლის ბიუჯეტის  
 გადასახდელები (საკასო შესრულება - 85,568.5 ათასი ლარი)**



**თვითმმართველი ქალაქის ბათუმის 2013 წლის ბიუჯეტის ხარჯები  
 (საკასო შესრულება - 58,457.8 ათასი ლარი)**



ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯებმა შეადგინა 58,457.8 ათასი ლარი, რაც გეგმის 64,263.1 ლარის 91.0%-ია, მისი ხვედრითი წილი მთლიან გადასახდელებში არის 68.3%.

შრომის ანაზღაურებაზე გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 8,221.5 ათასი ლარი, მისი ხვედრითი წილი მთლიან ასიგნებებში არის 9.6%,

საქონელზე და მომსახურებაზე გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 15,019.4 ათასი ლარი, მისი წილი მთლიან ასიგნებებში 17.6%-ია, მათ შორის:

შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურებამ შეადგინა 128.3 ათასი ლარი.

მივლინებები – 129.8 ათასი ლარი

ოფისის ხარჯები – 545.6 ათასი ლარი.

წარმომადგენლობით ხარჯები – 74.5 ათასი ლარი.

სამედიცინო ხარჯები – 0.2 ათასი ლარი.

რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებით ხარჯები – 31.5 ათასი ლარი





**ტრანსპორტისა და ტექნიკისა ექსპლოატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები – 381.5 ათასი ლარი.**

**სხვა დანარჩენ საქონელზე და მომსახურებაზე ხარჯებმა შეადგინა 13,728.1 ათასი ლარი.**

**პროცენტების დაფარვის ხარჯებმა შეადგინა 2,467.2 ათასი ლარი, რაც ასიგნებების მთლიანი მოცულობის 2.9%-ია.**

**სუბსიდიის სახით გაწეული ხარჯი შეადგენს 22,013.3 ათას ლარს, მისი ხვედრითი წილი მთლიან მოცულობაში არის 25.7%.**

**სოციალურ უზრუნველყოფაზე გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 4,809.9 ათასი ლარი, გადასახდელების მთლიანი მოცულობის – 5.6%.**

**სხვა ხარჯებზე მიიმართა 5,926.4 ათასი ლარი, რაც მთლიანი ასიგნებების 6.9%-ია.**

**არაფინანსური აქტივების ზრდამ შეადგინა 25,379.9 ათასი ლარი, რაც გეგმის 38,389.3 ათასი ლარის 66.1%-ია, მთლიანი გადასახდელების – 29.7%.**

**ვალდებულებების კლებაზე მიიმართა 1,730.9 ათასი ლარი, რაც გეგმის 1,788.4 ათასი ლარის 96.8%-ია. ხვედრითი წილი მთლიან გადასახდელებში – 2.0%.**



**ადგილობრივი ბიუჯეტის გადასახდელები პროგრამულ ჭრილში**

პროგრამული კლასიფიკაციის მიხედვით თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის 2013 წლის ბიუჯეტის გადასახდელებს შემდეგი სახე აქვს:

(ათასი ლარი)

კოდი	დასახელება	ადგილობრივი ბიუჯეტის გადასახდელები			
		დაზუსტებული გეგმა	საკასო ხარჯი	გადახრა	შესრულების %
<b>01 00</b>	<b>წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება</b>	<b>15,709.8</b>	<b>14,809.0</b>	<b>900.8</b>	<b>94.3%</b>
01 01	თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულო	1,745.4	1,618.2	127.2	92.7%
01 02	თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის მერია	9,304.6	8,810.0	494.6	94.7%
01 03	სასესხო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა	4,204.2	4,016.2	188.0	95.5%
01 04	კომუნალური გადასახადების ერთიანი ადმინისტრირება	322.9	274.4	48.5	85.0%
01 05	სარეზერვო ფონდი	42.5		42.5	
01 06	წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი	90.2	90.1	0.1	99.9%
<b>02 00</b>	<b>თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება</b>	<b>45.0</b>	<b>39.7</b>	<b>5.3</b>	<b>88.2%</b>
02 01	ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა	45.0	39.7	5.3	88.2%
<b>03 00</b>	<b>ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია</b>	<b>58,612.9</b>	<b>47,365.7</b>	<b>11,247.2</b>	<b>80.8%</b>
03 01	სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარება	24,436.8	17,628.2	6,808.6	72.1%
03 02	კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარება	23,927.7	21,394.6	2,533.1	89.4%
03 03	ქალაქის კეთილმოწყობა	10,248.4	8,342.8	1,905.6	81.4%
<b>04 00</b>	<b>განათლება</b>	<b>8,109.6</b>	<b>7,684.1</b>	<b>425.5</b>	<b>94.8%</b>
<b>05 00</b>	<b>კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი</b>	<b>13,163.9</b>	<b>8,724.2</b>	<b>4,439.7</b>	<b>66.3%</b>
05 01	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	7,954.2	3,776.1	4,178.1	47.5%
05 02	კულტურის განვითარების ხელშეწყობა	4,848.9	4,704.4	144.5	97.0%
05 03	საზოგადოებრივი და ახალგაზრდული ორგანიზაციების ხელშეწყობა	360.8	243.7	117.1	67.5%
<b>06 00</b>	<b>მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა</b>	<b>7,117.4</b>	<b>6,868.9</b>	<b>248.5</b>	<b>96.5%</b>
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	1,945.8	1,845.6	100.2	94.8%
06 02	სოციალური უზრუნველყოფა	5,171.6	5,023.3	148.3	97.1%
<b>07 00</b>	<b>სხვადასხვა ღონისძიებები</b>	<b>1,682.2</b>	<b>77.0</b>	<b>1,605.2</b>	<b>4.6%</b>
07 01	ციტრუსის ნაყოფის რეალიზაციის ხელშეწყობა	1,682.2	77.0	1,605.2	4.6%
<b>ჯამი</b>		<b>104,440.8</b>	<b>85,568.5</b>	<b>18,872.3</b>	<b>81.9%</b>

**წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება**  
**(პროგრამული კოდი 01 00)**

**თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს** (პროგრამული კოდი 01 01)  
 ხარჯებმა შეადგინა 1,618.2 ათასი ლარი, დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 1,745.4  
 www.batumi.ge



ათას ლარს, ანუ შესრულებამ შეადგინა 92.7%. აქედან შრომის ანაზღაურებაზე მიიმართა 1,254.4 ათასი ლარი, საქონელსა და მომსახურებაზე - 290.8 ათასი ლარი, მათ შორის შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურებაზე გაიხარჯა 65.5 ათასი ლარი, მივლინებების ხარჯებზე - 23.3 ათასი ლარი, ოფისის ხარჯებზე - 69.1 ათასი ლარი, წარმომადგენლობით ხარჯებზე - 17.1 ათასი ლარი, სამედიცინო ხარჯებზე - 0.2 ათასი ლარი, რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებულ ხარჯებზე - 2.5 ათასი ლარი, ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლოატაციისა და მოვლა შენახვის ხარჯებზე - 88.3 ათასი ლარი, სხვა დანარჩენ საქონელსა და მომსახურებაზე - 24.8 ათასი ლარი, სოციალურ უზრუნველყოფაზე - 9.1 ათასი ლარი, არაფინანსური აქტივების ზრდაზე - 63.9 ათასი ლარი.

### თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის მერიის (პროგრამული კოდი 01 02)

ხარჯებმა შეადგინა 8,810.0 ათასი ლარი. დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 9,304.6 ათას ლარს, ანუ შესრულებამ შეადგინა 94.7%. აქედან შრომის ანაზღაურებას მოხმარდა 6,967.1 ათასი ლარი, საქონელსა და მომსახურებაზე - 1,452.6 ათასი ლარი, მათ შორის შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურებაზე გაიხარჯა 62.8 ათასი ლარი, მივლინებების ხარჯებზე - 106.5 ათასი ლარი, ოფისის ხარჯებზე - 476.6 ათასი ლარი, წარმომადგენლობით ხარჯებზე - 57.4 ათასი ლარი, რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებულ ხარჯებზე - 29.0 ათასი ლარი, ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლოატაციისა და მოვლა შენახვის ხარჯებზე - 293.2 ათასი ლარი, სხვა დანარჩენ საქონელსა და მომსახურებაზე - 427.3 ათასი ლარი, სოციალურ უზრუნველყოფაზე - 12.8 ათასი ლარი, სხვა ხარჯებზე - 19.2 ათასი ლარი, არაფინანსური აქტივების ზრდაზე - 358.2 ათასი ლარი.

### სასესხო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა (პროგრამული კოდი 01 03)

#### **მუნიციპალური განვითარების ფონდიდან მიღებული სესხების მომსახურება (პროგრამული კოდი 01 03 01)**

##### **➤ პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მერიის საფინანსო სამსახური.

##### **➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 801.7 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 801.6 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 99.9%.

##### **➤ პროგრამის აღწერა:**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდა მუნიციპალური განვითარების ფონდიდან მიღებული სესხების საპროცენტო ხარჯების დაფარვა 274.0 ათასი ლარის და სესხის ძირი თანხის დაფარვა - 527.7 ათასი ლარის ოდენობით.

##### **➤ მიღწეული შედეგები:**

შესრულებული საკრედიტო ვალდებულებები;

შემცირებული იქნა სასესხო ვალდებულება - 527.7 ათასი ლარით.

#### **გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკიდან (KfW) მიღებული სესხების მომსახურება (პროგრამული კოდი 01 03 02)**



➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მერიის საფინანსო სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 2,255.3 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 2,162.6 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 95.9%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

განხორციელდა სესხის მომსახურების საპროცენტო ხარჯების დაფარვა - 2,162.6 ათასი ლარის ოდენობით.

➤ **მიღწეული შედეგები:**

შესრულებული საკრედიტო ვალდებულებები;

**ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკიდან (EBRD) მიღებული სესხის მომსახურება (პროგრამული კოდი 01 03 03)**

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მერიის საფინანსო სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 1,147.2 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 1,052.0 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 91.7%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდა ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკიდან მიღებული სესხების საპროცენტო ხარჯების დაფარვა - 30.6 ათასი ლარის ოდენობით და სესხის ძირი თანხის დაფარვა - 1,021.3 ათასი ლარის ოდენობით.

➤ **მიღწეული შედეგები:**

შესრულებული საკრედიტო ვალდებულებები;

შემცირებული იქნა სასესხო ვალდებულება - 447.7 ათასი ევროთი.

**კომუნალური გადასახადების ერთიანი ადმინისტრირება (პროგრამული კოდი 01 04)**

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 322.9 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 274.4 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 85.0%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

პროგრამის ფარგლებში ყოველთვიურად ხორციელდებოდა ქ. ბათუმში რეგისტრირებულ აბონენტებზე დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების ადგილობრივი მოსაკრებლის დარიცხვის, შესაბამისი ქვითრების ბეჭდვის და აბონენტთათვის მათი მიწოდების მომსახურების გაწევა.

➤ **მიღწეული შედეგები:**

დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის ადგილობრივი მოსაკრებლის ადმინისტრირების გაუმჯობესება;



დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის ადგილობრივი მოსაკრებლის ამოღების გაუმჯობესებული მაჩვენებელი;  
მოსაკრებლის გადამხდელთა გაზრდილი ინფორმირებულობა.

წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი (პროგრამული კოდი 01 06)

აღნიშნული ფონდის წლიური ასიგნება 90,2 ათას ლარს შეადგენდა. გეგმა შესრულდა 99,9-ით. საკასო ხარჯმა შეადგინა 90.1 ათასი ლარი, რომელიც ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 08 ივლისის №2-1676/12 სააღსრულებო ფურცელის აღსრულების მიზნით მიიმართა.

თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის 2013 წლის ბიუჯეტის ასიგნებები პრიორიტეტების მიხედვით შემდეგნაირად გადანაწილდა.

**პრიორიტეტი: თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება (პროგრამული კოდი 02 00)**

ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 02 01)

**➤ პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მერიის მობილიზაციის, სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური.

**➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 45.0 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 39.7 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 88.2%.

**➤ პროგრამის აღწერა:**

განხორციელდა ქ. ბათუმში რეგისტრირებულ წვევამდელთა აღრიცხვა და გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირება (800 წვევამდელი) ტრანსპორტირება მოიცავდა ასევე თანმდევ მომსახურებას (მსუბუქ კვებას).

რეზერვისტთა ტრანსპორტირების უზრუნველყოფა მათი შეკრების ადგილამდე - აღნიშნული ღონისძიება არ განხორციელებულა, ვინაიდან საქართველოს ნორმატიული აქტით არ დადგენილა შესაბამისი ვალდებულება.

**➤ მიღწეული შედეგები:**

არსებული რესურსებისა და თავდაცვის მოთხოვნების გათვალისწინებით ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის გაუმჯობესებისათვის ქ. ბათუმში წვევამდელთა და რეზერვისტთა სამხედრო აღრიცხვის, სამხედრო სამსახურისათვის მომზადებისა და გაწვევის კოორდინაცია.

**პრიორიტეტი: ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია**





**სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 03 01)**

**გზების, ქუჩებისა და ტროტუარების კეთილმოწყობა (პროგრამული კოდი 03 01 01)**

**➤ პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მერიის კეთილმოწყობის სამსახური.

**➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 18 028,8 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 12 541,2 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 69.6 %; პროგრამის დაფინანსების დაბალი მაჩვენებელი ძირითადად განპირობებულია იმ ფაქტით, რომ ჭავჭავაძისა და აბუსერიძის ქუჩებზე ასფალტის საფარის დაგების სამუშაოებზე გამოცხადებული ტენდერი არ შედგა, ასევე გონიო-კვარიათში ზღვისკენ გამსვლელი გზების კეთილმოწყობის სამუშაოები დასრულებული იქნა, მაგრამ საანგარიშო პერიოდში საკასო გადახდა არ განხორციელებულა, მიმწოდებელი კომპანიის მიერ შესაბამისი ექსპერტიზის დასკვნის წარმოდგენლობის გამო.

**➤ პროგრამის აღწერა:**

ასფალტირებული ქუჩების მიმდინარე სარემონტო სამუშაოები - დაიგო ასფალტის საფარი - 31 134 კვ.მ, შეკეთდა ბორდიურები - 33 გრძ.მ, მოეწყო ახალი ბორდიურები - 64 გრძ.მ, გარემონტდა ბეტონის ფილები - 154 კვ.მ, დაიგო ბეტონის ახალი ფილები - 181 კვ.მ, გარემონტდა რკინა-ბეტონის ფილები - 3 240 კვ.მ;

არასასფალტირებული ქუჩების მიმდინარე სარემონტო სამუშაოები - ქალაქის ქუჩები შეკეთდა ქვიშა-ხრემოვანი ნარევით - 87 450 კვ.მ, ქალაქის ქუჩები შეკეთდა ქვიშა-ხრემოვანი ნარევის გარეშე - 98 130 კვ.მ, არასასფალტირებულ ქუჩებსა და გზებზე ამოღებულ იქნა უვარგისი გრუნტი და შეივსო ბუნებრივი ქვიშა-ხრემოვანი ნარევით - 369 კვ.მ;

ბაგრატიონისა და ერისთვის ქუჩების რეკონსტრუქცია (ვაჟა-ფშაველას ქუჩიდან გოგოლის ქუჩამდე) - მოეწყო გზის საფარის ქვედა და ზედა ფენა - 17 910 კვ.მ, მოეწყო ახალი სანიაღვრე სისტემა - 700 გრძ.მ, მოეწყო ახალი კანალიზაციის სისტემა - 1 084 გრძ.მ, მოეწყო ლითონის ჭიშკარი - 88 ც, მოეწყო წყლის სისტემა - 900 გრძ.მ, ტროტუარებზე დაიგო დეკორატიული ფილები - 2 662 კვ.მ, მოეწყო ბეტონის ბორდიური - 1 101 გრძ.მ; დამონტაჟდა გარე განათების ბოძები - 20 ც;

ხახუტაიშვილის ქუჩის რეკონსტრუქცია (შ. ხიმშიაშვილის ქუჩიდან ფიროსმანის ქუჩამდე) - დაიგო ტროტუარის ფილები - 1 005 კვ.მ, დაიგო ბაზალტის ბორდიური - 15X30 - 480 გრძ.მ, დაიგო ასფალტის საფარი - 3 814 კვ.მ, დამონტაჟდა გარე განათების ბოძები სანათებით - 13 ც;

ფიროსმანის ქუჩის რეკონსტრუქცია - დაიგო ტროტუარის ფილები - 5 260 კვ.მ, მოეწყო ბაზალტის ბორდიური - 3 107 გრძ.მ, დაიგო ასფალტის საფარი - 11 230 კვ.მ;

ბარათაშვილის ქუჩის რეკონსტრუქცია (ჭავჭავაძის ქუჩიდან მემედ აბაშიძის ქუჩამდე) - დაიგო ასფალტის საფარი - 11 176 კვ.მ, მოეწყო ბაზალტის ბორდიური (25 სმ) - 682 კვ.მ, მოეწყო ბაზალტის ბორდიური (10 სმ) - 611 კვ.მ, ტროტუარებზე დაიგო ორშრიანი დეკორატიული ფილები - 4 000 კვ.მ, მოეწყო სანიაღვრე ცხაური - 126 გრძ.მ, მოეწყო სანიაღვრე სისტემა - 600 გრძ.მ, დაიგო კორდი - 480 კვ.მ, დამონტაჟდა საგზაო ნიშნები - 10 ც.;

რუსთაველისა და ნინოშვილის ქუჩების და მათი დამაკავშირებელი ქუჩების მონაკვეთების რეკონსტრუქციის სამუშაოები - განხორციელდა არსებული საფარის  
www.batumi.ge



მოხსნა - 3 145,5 ტ, გზის საფუძვლის ქვეშ მოეწყო გეოტექსტილის ფენა - 3 051 კვ.მ, მოეწყო ბუნებრივი ქვაფენილით სავალი ნაწილი - 12 112 კვ.მ, მოეწყო ბაზალტის ბორდიური - 4 100 გრძ.მ, დაიგო ტროტუარებზე გრანიტის ფილა - 14 268 კვ.მ;

ხიდებისა და სახიდე გადასასვლელების მოწყობა-რეკონსტრუქცია - თამარ მეფის გზატკეცილზე N2-თან მდებარე ხიდზე მოეწყო ხიდის მოაჯირი - 15 გრძ.მ; ჯაყელის ქ. N15-თან მდებარე ხიდზე მოეწყო მოაჯირი - 39 გრძ.მ; ზ. ნაჭყებიას ქ. N5-თან მდებარე ხიდზე მოეწყო მოაჯირი - 24 გრძ.მ; შარაშიძის ქ. N45-ში მოეწყო 6,2 გრძ.მ მონოლითური ხიდი და 16,2 გრძ.მ. ხიდის მოაჯირი; ურეხის დასახლება N1-თან მდებარე ხიდზე მოეწყო ხიდის მოაჯირი - 29 გრძ.მ; დიდგორის ქ. N25-ის მიმდებარედ მოეწყო 6,8 გრძ.მ მონოლითური ხიდი და 10,8 გრძ.მ ხიდის მოაჯირი; ბახტაძის ქუჩა N7-ის მიმდებარე ტერიტორიაზე მოეწყო სახიდე გადასასვლელი: მოეწყო მონოლითური ბეტონის ხიდის ბურჯების დასაყრდენი კედელი - 25,3 კვ.მ, მოეწყო რ/ბეტონის ფილა - 11,2 კვ.მ, მოეწყო ხიდის ლითონის მოაჯირი - 13,8 გრძ.მ; მეზღვაურის ქუჩა N10-ის მიმდებარე ტერიტორიაზე მოეწყო სახიდე გადასასვლელი: მოეწყო მონოლითური ბეტონის ხიდის ბურჯების დასაყრდენი კედელი - 54 კვ.მ, მოეწყო რ/ბეტონის ფილა - 16 კვ.მ, მოეწყო ხიდის ლითონის მოაჯირი - 11,8 გრძ.მ; მეზღვაურის ქუჩა N9-ის მიმდებარე ტერიტორიაზე მოეწყო სახიდე გადასასვლელი: მოეწყო მონოლითური ბეტონის ხიდის ბურჯების დასაყრდენი კედელი - 38,7 კვ.მ, დამონტაჟდა არსებული რ/ბეტონის ფილა - 4 ც, მოეწყო ანაკრები ფილები სიგრძეზე რ/ბეტონის შევსებისათვის - 8 კვ.მ., მოეწყო ხიდის ლითონის მოაჯირი - 11,6 გრძ.მ;

აღმაშენებლის ქუჩის რეაბილიტაცია - დაიგო ბაზალტის ბორდიური - 15X30 - 1 235 გრძ.მ, 10X20 - 216,5 გრძ.მ, დაიგო ტროტუარის დეკორატიული ფილები - 1 700 კვ.მ, დაიგო ასფალტის საფარი - 7 050 კვ.მ, მოეწყო რკინა-ბეტონის სანიაღვრე ქსელის მილები d400მმ. - 753 გრძ.მ., d500მმ. - 400 გრძ.მ;

ჰელიმიძის ქუჩის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაცია - დაიგო ასფალტის საფარი - 1 493 კვ.მ;

ინასარიძის ქუჩაზე ასფალტის საფარის გადაგება (აბაშიძის ქუჩიდან კობალაძის ქუჩამდე) - დაიგო ასფალტის საფარი - 4 890 კვ.მ, დამონტაჟდა სანიაღვრე ჭები - 26 ც.;

გონიო-კვარიათში ზღვისკენ გამსვლელი გზების კეთილმოწყობა - გონიო-კვარიათში კეთილმოეწყო (დაიგო ასფალტის საფარი) ზღვისკენ გამსვლელი 10 856 კვ.მ გზები (9 ქუჩის მონაკვეთი და ქუჩების შესახვევები);

ქალაქის ქუჩებისა და ტროტუარების კაპიტალური რემონტი - ქალაქის ცენტრალურ ნაწილში ტროტუარებზე ხეების ირგვლივ ჩამკეტი ბორდიურების მოწყობა; რ. ვალენბერგის ქუჩისა და ზუბალაშვილის შესახვევის კეთილმოწყობა; თევდორე მღვდლის ქუჩის კეთილმოწყობა; ხახულის II შესახვევის კეთილმოწყობა; ამაღლების ქუჩის კეთილმოწყობა; დ. ჭონქაძის ქუჩის მონაკვეთის კეთილმოწყობა; გ. წერეთლის ქუჩის მონაკვეთის კეთილმოწყობა; ი. მესხის ქუჩის კეთილმოწყობა; ნ. ნიჟარაძის ქუჩის მონაკვეთის კეთილმოწყობა; „გოროდოვი“ - ბარცხანის დამაკავშირებელი გზის კეთილმოწყობა; მწვანე კონცხის დასახლებაში, ამაღლების ქუჩის I ჩიხში სავალი ნაწილის რკინა-ბეტონის საყრდენი კედლის მოწყობა; სელიმ ხიმშიაშვილის ქუჩის მონაკვეთზე (ზურაბ გორგილაძის ქუჩიდან ფარნავაზ მეფის ქუჩამდე) და ლერმონტოვის ქუჩის მონაკვეთზე (ვ. გორგასლის ქუჩიდან ჭავჭავაძის ქუჩამდე) ტროტუარების კეთილმოწყობის სამუშაოები; აეროპორტის გზატკეცილზე მერიის საწყობებთან მისასვლელი გზის მოწყობა, ადლის ქუჩის მონაკვეთის ასფალტირება, წმ. ევდემოზ I-ის ქუჩის ასფალტირება; ქ. ბათუმში, ამაღლების ქუჩაზე



ბეტონის კიუვეტის მოწყობა; ზედაღელეს ქუჩის ზედა ნაწილის კეთილმოწყობა; კოტე აფხაზის ქუჩის მონაკვეთის ასფალტირება; ათნოების ქუჩის I ჩიხის კეთილმოწყობა; ფალავანდიშვილის ქუჩის კეთილმოწყობა; გრიბოდოვის ქუჩის მონაკვეთის (პუშკინის ქუჩიდან აკად. მ. კობახიძის ქუჩამდე; ნევრესტან შაშიკაშვილის ქუჩის მონაკვეთის კეთილმოწყობა; ნევრესტან შაშიკაშვილის ქუჩის გაგრძელების მოასფალტება; ნევრესტან შაშიკაშვილის ქუჩის შესახვევის III ნაწილის მოასფალტება; თამარ მეფის გზატკეცილზე ქავთარაძის ქუჩიდან თამარ მეფის გზატკეცილის №6-მდე და №33-მდე ტროტუარების მოწყობა; მატათა მოციქულის ქ. №1-დან №3-მდე მონაკვეთში გზის ნაწილის რკინა-ბეტონის ჯებირით გამაგრება) კეთილმოწყობა.

ჭავჭავაძისა და აბუსერიძის ქუჩებზე ასფალტის საფარის დაგება, წრიულის მოწყობა - სამუშაოები საანგარიშო პერიოდის განმავლობაში არ განხორციელებულა, ვინაიდან სამუშაოების განსახორციელებლად თავდაპირველად გამოცხადებული ელექტრონული ტენდერი არ შედგა ხოლო განმეორებით გამოცხადებული ტენდერი უარყოფითი შედეგით დასრულდა.

**➤ მიღწეული შედეგები:**

დადგენილ ტექნიკური პარამეტრებთან შესაბამისობაში მოყვანილი გზის საფარი; რეკონსტრუირებული ქუჩები, ტროტუარები და სახიდე გადასასვლელები; ქუჩებში სატრანსპორტო საშუალებათა გამტარუნარიანობის ზრდა; ტრანსპორტით და ფეხით მოსიარულეთა კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილება.

**სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მართვა და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 01 02)**

**➤ პროგრამის განმახორციელებელი:**

ა(ა)იპ - სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მართვის სააგენტო.

**➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 1,877.0 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 1,057.0 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 56,3%; ახალი შუქნიშნებისა და პარკომეტრების შეძენა-მოწყობაზე გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში მიმწოდებელ კომპანიაზე საანგარიშო პერიოდში შესრულებული სამუშაოების ანაზღაურება სრულად არ განხორციელებულა შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის გამო, რამაც განაპირობა პროგრამის შესრულების დაბალი მაჩვენებელი.

**➤ პროგრამის აღწერა:**

დამონტაჟდა და შეკეთდა სიჩქარის შემაფერხებელი-შემზღვეველი ბარიერები (188,87 გრძ.მ) საჯარო სკოლებთან და განსაკუთრებით გადატვირთულ მონაკვეთებზე; მოეწყო (შეღებვა/მოხაზვა) 4770,98 კვ/მ ველობილიკი; მოიხაზა: გზა - 11167,08 კვ.მ. ავტობუსის გაჩერება - 35 ერთეული - 70 კვ.მ; შეკეთდა: ქვაფენილი - 3593,4 კვ.მ, ფილები - 723,3 კვ.მ, ბოძკინტები (შეკეთება/მონტაჟი) - 484 ცალი, ბორდიური - 420,5 გრძ.მ. შეიღება 1 850 ცალი ბოძკინტი, 16 გზაჯვარედინზე დამონტაჟდა თანამედროვე შუქნიშანი, რომელიც აღიჭურვა დილაკებით ფეხით მოსიარულეთათვის და ხმოვანი სიგნალებით, დამონტაჟდა 30 ერთეული პარკომეტრი, ხორციელდებოდა ქალაქის 30 გზაჯვარედინზე არსებულ შუქნიშნების ყოველდღიური მოვლა-ექსპლოატაცია, ქალაქის სხვადასხვა უბნებში განხორციელდა 398 ერთეული საგზაო ნიშნის მონტაჟი, შეკეთდა - 143 საგზაო ნიშანი, თოვლისაგან გაიწმინდა ქალაქის ქუჩები, მოიყარა ტექნიკური მარილი - 20 ტონა, ქვიშა - 110 კუბ/მ. ხრეში - 30 კუბ/მ. განახლდა ქალაქის





ქუჩების მოვლა-პატრონობისათვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, კერძოდ შეძენილი იქნა მარილის მომხმევი, თოვლის საწმენდი და სატვირთო თვითმცლელი.

➤ **მიღწეული შედეგები:**

ტრანსპორტით და ფეხით მოსიარულეთა გაუმჯობესებული და უსაფრთხო გადაადგილება;

დანერგული პარკირების სისტემა (პარკომეტრები).

**მუნიციპალური სატრანსპორტო სისტემის განვითარება (პროგრამული კოდი 03 01 03)**

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 4,030.0 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 4,030.0 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 100.0%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდა მუნიციპალური ტრანსპორტის ტარიფის შენარჩუნების მიზნით, წლის განმავლობაში წარმოქმნილი შპს "ბათუმის ავტოტრანსპორტის" საოპერაციო დეფიციტის დაფარვა - 4,030.0 ათასი ლარის მოცულობით.

➤ **მიღწეული შედეგები:**

მუნიციპალური სატრანსპორტო სისტემის გამართული და შეუფერხებელი ფუნქციონირება;

შესაბამისი კატეგორიის მგზავრთა შეღავათიანი ტარიფით გადაადგილება.

**ნაპირგამაგრებითი სამუშაოები (პროგრამული კოდი 03 01 04)**

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მერიის კეთილმოწყობის სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 501,0 ათასი ლარი; საკასო ხარჯი გაწეული არ ყოფილა, ვინაიდან აღნიშნული თანხიდან 350,0 ათასი ლარი საქართველოს მთავრობის 2013 წლის 17 მაისის №460 განკარგულების შესაბამისად აეროპორტის მიმდებარედ ზღვისპირა ზოლზე ნაპირსამაგრი სამუშაოების განსახორციელებლად იყო განკუთვნილი. მაგრამ, ვინაიდან აჭარის მთავრობის მიერ ზღვის სანაპიროს აღნიშნულ მონაკვეთზე იგეგმებოდა მსგავსი უფრო მასშტაბური პროექტის განხორციელება, ქ. ბათუმის მერიას დაერთო ნება აღნიშნული თანხა გამოეყენებინა მეზღვაურის ქ. #10-ში ხიდისა და საცხოვრებელი სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე სარეგულაციო კედლის მშენებლობასა და არსებული ჯებირის გამაგრების, ასევე აეროპორტის გზატკეცილის #118-ის მიმდებარე ტერიტორიაზე ხიდთან მდინარეზე ჯებირის მოწყობის სამუშაოებისათვის. გამომდინარე იქედან, რომ შესაბამისი სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება გაფორმდა 2013 წლის დეკემბრის თვეში და სამუშაოების განხორციელება დაიწყო 2014 წელს, საანგარიშო პერიოდში მიმწოდებელ კომპანიაზე თანხის გადახდა არ განხორციელებულა. ასევე, ნაპირგამაგრებითი სამუშაოების პროგრამის ფარგლებში 151,0 ათასი ლარი იყო დაგეგმილი ნიჟარამის ქუჩაზე გაბიონური წყობით მდინარე ბარცხანას მარცხენა ნაპირის გამაგრებისათვის,



გამომდინარე იქედან რომ სამუშაოების განსახორციელებლად ორჯერ გამოცხადებული ელექტრონული ტენდერი არ შედგა, საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო შესყიდვის შესაბამისი ხელშეკრულება არ გაფორმებულა.

**კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 03 02)**

**01) სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02)**

**➤ პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მერიის კეთილმოწყობის სამსახური.

**➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 3 865,3 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 3 512,0 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 90,9%.

**➤ პროგრამის აღწერა:**

სანიაღვრე ქსელების მიმდინარე მოვლა-ექსპლოატაცია - სანიტარულ ჰიგიენურად დამუშავდა სანიაღვრე არხები 390 ლიტრი ხსნარით; შეიცვალა გადახურვის ფილა - 151,15 კვ.მ.; შეკეთდა სანიაღვრე ჭები - 340 ც.; გაიწმინდა დახურული სანიაღვრე არხები შლამის ამოღებითა და გატანით - 2 500 გრძ.მ.; გაიწმინდა ღია სანიაღვრე არხები შლამის ამოღებითა და გატანით - 33 881 გრძ.მ.; გაიწმინდა სანიაღვრე მიწები ჭურვის გატარებით - 10 400 გრძ.მ.; გაიწმინდა სანიაღვრე არხები შლამის ამოღებითა და გატანით შლამწოვის საშუალებით - 20 000 ც.;

ნინოშვილის ქუჩაზე მთავარი სანიაღვრე კოლექტორის მშენებლობა - მოეწყო მონოლითური რკინა-ბეტონის სანიაღვრე არხი - 1 394 გრძ.მ.; დაიგო დეკორატიული ფილა - 5 280 კვ.მ.; მოეწყო ბორდიური - 940 გრძ.მ.; მოეწყო მრგვალი ანაკრები კანალიზაციის ჭები - 18 ც.; მოეწყო წვიმმიმღები რკინა-ბეტონის ერთცხაურიანი ანაკრები ჭები - 25 ც. სამუშაოები არ დასრულებულა, ვიანაიდან მიწოდებულმა კომპანიამ ვერ შეძლო ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულება და შეწყდა სახელმწიფო შესყიდვის შესაბამისი ხელშეკრულება;

სანიაღვრე სისტემების მოწყობა და რეკონსტრუქცია - ქ. ბათუმში, ნონეშვილის ქუჩა N76 საცხოვრებელ სახლთან მოეწყო სანიაღვრე რკინა-ბეტონის არხი - 121 გრძ.მ.; სესილია თაყაიშვილის ქუჩაზე მოეწყო სანიაღვრე სისტემა: მოეწყო 183 გრძ.მ. d300მმ. გოფირებული მილი, მოეწყო 156 გრძ.მ. d400მმ. გოფირებული მილი, 4,8 გრძ.მ. d500მმ ფოლადის მილი, მოეწყო 21 ც. სანიაღვრე ჭა; ამაღლების ქუჩაზე მოეწყო მონოლითური რ/ბეტონის სანიაღვრე არხი ცხაურით - 531 გრძ.მ.;

ჟილინის არხის კაპიტალური რეკონსტრუქცია - მიმწოდებელი კომპანიის მიერ სამუშაოები ვერ იქნა ხელშეკრულებით შესაბამისად შესრულებული, რის გამოც შეწყდა სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება. ამჟამად მიმდინარეობს ავანსად გაცემული თანხის დაბრუნების პროცედურები (საბანკო გარანტიის პირობების შესაბამისად).

ჭელიმიშის ქუჩაზე სანიაღვრე არხის მოწყობა - მიმწოდებელი კომპანიის მიერ სამუშაოები ვერ იქნა დადგენილ ვადაში დასრულებული, შესაბამისად დაფინანსება საანგარიშო პერიოდში არ განხორციელებულა.

**➤ მიღწეული შედეგები:**

გამართული სანიაღვრე ქსელები;  
ქალაქში დატბორილი ადგილების აღმოფხვრა.





**წყლის სისტემების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 03 02 02)**

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მერიის კეთილმოწყობის სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 1,014.0 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 767.5 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 75,7%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

შპს „ბათუმის წყალი“-ს კაპიტალის გაზრდა - გაიზარდა შპს „ბათუმის წყალის“ საწესდებო კაპიტალი ადმინისტრაციული შენობის რემონტის, ასევე მოსახლეობის წყლის ახალ ქსელზე მიერთების, წყალმზომების დაყენების - ინდივიდუალური გამრიცხველიანების მიზნით;

ერისთავის ქუჩაზე წყლის სისტემის რეკონსტრუქცია - არსებულ წყლის სისტემაზე ჩაიჭრა უკანონო მიერთებები, შეკეთდა დაზიანებული მონაკვეთები და იზოლირებულ იქნა გაჟონვები; მოეწყო ცენტრალური მაგისტრალური წყლის მილი d1000მმ. - 350 გრძ.მ.

➤ **მიღწეული შედეგები:**

რეაბილიტირებულ ზონებში უწყვეტი და საკმარისი სასმელი წყლის მიწოდება; ერისთავის ქუჩაზე რეკონსტრუირებული წყლის სისტემა.

**კანალიზაციის სისტემების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 03 02 03)**

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მერიის კეთილმოწყობის სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 239,0 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 142,9 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 59,8%. კახაბრის ქუჩაზე შამბოს მოწყობის სამუშაოები დადგენილ ვადაში არ დასრულდა, ასევე მიმწოდებელ კომპანიის მიერ არ იქნა წარმოდგენილი ექსპერტიზის შესაბამისი დასკვნა, რის გამოც დაფინანსება არ განხორციელებულა.

➤ **პროგრამის აღწერა:**

ქ. ბათუმში რუსთაველის ქუჩაზე კანალიზაციის სისტემის გადატანის სამუშაოები - შეცვლილი იქნა 348 გრძ.მ კანალიზაციის სისტემა;

კახაბრის ქუჩაზე შამბოს მოწყობის სამუშაოები - მოეწყო რ/ბეტონის სალექარი - 21,7 კბ.მ.; მოეწყო გადახერგის ფილა - 7,3 კბ.მ.; მოეწყო გოფირებული საკანალიზაციო მილი d300 - 120 გრძ.მ.; მოეწყო საკანალიზაციო ჭები - 5 ც.;

ახალი საკანალიზაციო სისტემების მოწყობა - მოეწყო მონოლითური რ/ბეტონის სექტიკური სალექარი B20 - 40,2 კბ.მ.; მოეწყო საქლორატორო - 1 ც.; მოეწყო საკანალიზაციო ქსელი - 380 გრძ.მ. ; მოეწყო საკანალიზაციო ჭები - 13 ც.

➤ **მიღწეული შედეგები:**

არსებული საკანალიზაციო ქსელის გამართული მუშაობა; საკანალიზაციო ქსელში არსებული დაზიანებების აღმოფხვრა.

**ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაციის პროექტის თანადაფინანსება (პროგრამული კოდი 03 02 04)**

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**



ქ. ბათუმის მერიის კეთილმოწყობის სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 3 962,9 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 3 852,7 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 97,2%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაციის პროექტის მე-3 ფაზის სამუშაოებთან დაკავშირებით გაფორმებული განსაკუთრებული შეთანხმებით, წყლის და კანალიზაციის სისტემების მდგრადი ექსპლოატაციისათვის შპს „ბათუმის წყალი-ს“ სუბსიდირება;

განხორციელდა ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაციის პროექტის ფარგლებში წარმოქმნილი დამატებული ღირებულების გადასახადის თანადაფინანსება (ანაზღაურება);

ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაციის პროექტის მე-2 და მე-3 ფაზის სამუშაოებთან დაკავშირებით გაფორმებული განსაკუთრებული შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება: ქალაქის მე-3 და მე-4 ზონაში წყლის სისტემების სარეაბილიტაციო სამუშაოების თანადაფინანსება, მახინჯაურის დასახლების წყალმომარაგებისათვის წყლის სამარაგო რეზერვუარის მშენებლობისათვის საჭირო მიწის ნაკვეთის შესყიდვა, ჩაქვისა და მახინჯაურის წყლის სამარაგო რეზერვუარების ელ. ენერჯის ქსელში ჩართვის საფასურის გადახდა).

➤ **მიღწეული შედეგები:**

რეაბილიტირებულ უბნებში სასმელი წყლის უწყვეტად და დანაკარგების გარეშე მიწოდება;

ნარჩენი წყლების სათანადო შეგროვება და გამწმენდ ნაგებობაში მიმართვა, გამწმენდი ნაგებობების სრული ფუნქციონირება ბიოლოგიური პროცესების დაცვით, ნარჩენი წყლების ეკოლოგიურად და ჰიგიენურად საიმედოდ გადამუშავება.

**ქალაქის დასუფთავება (პროგრამული კოდი 03 02 05)**

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მერიის კეთილმოწყობის სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 6 069,2 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 5 745,0 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 94,7%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

ქალაქის დასუფთავება - წლის განმავლობაში ხორციელდებოდა: ქალაქის ტერიტორიის დასუფთავება - 2 278 320 კვ.მ დღეში ორჯერ (ცენტრალურ ზონაში - სეზონურად მესამეჯერ ივნისი-სექტემბერის თვეებში); მწვანე საფარის დასუფთავება - 230 000 კვ.მ.; კონტეინერების გარეცხვა (წლის განმავლობაში) - 4 748 ცალი; ეზოების დასუფთავება თვეში 2-ჯერ - 725 000 კვ.მ; სანაპირო ზოლის დასუფთავება თვეში 3-ჯერ (ყოველდღე, სეზონურად მაისი-სექტემბერი) - 1 633 000 კვ.მ.; მაწანწალა ცხოველების გაუვნებლობა - 6 500 ცალი; პირუტყვის ქალაქში მოძრაობის აღკვეთა; სეზონურად დღეში ორჯერ ტერიტორიის მორწყვა (სულ 120 რეისი); პერიოდულად ქალაქის ქუჩებისა და მოედნების მორეცხვა; სეზონურად ტერიტორიის თოვლის საფარისაგან გაწმენდა (სავალი ნაწილი, ტროტუარები) - 17 000 კვ.მ.;

ნარჩენების გატანა - წლის განმავლობაში გატანილ იქნა საყოფაცხოვრებო ნარჩენები - 65 000 ტ.;



მწვანე ყუთების დამზადება/განთავსება - საჯარო დაწესებულებებში მაკულატურის შეგროვების მიზნით დამზადდა და ბათუმის ტერიტორიაზე არსებულ 15 საჯარო დაწესებულებაში განთავსდა „მწვანე ყუთები“. განხორციელდა ასევე ორი თემატური ვიდეო-რგოლის გადაღება, დაიბეჭდა და გავრცელდა საინფორმაციო ფლაერები; მედიის წარმომადგენელთა და დაინტერესებულ პირთათვის პროექტთან დაკავშირებით მოეწყო პრეზენტაციები.

➤ **მიღწეული შედეგები:**

დასუფთავებული ქუჩები, ტროტუარები, ეზოები, მწვანე საფარი, პლაჟი; ესთეტიკურად მიმზიდველი გარემო მოსახლეობისა და ქალაქის სტუმრებისათვის;  
 მაწანწალა ცხოველების პოპულაციის მართვა;  
 ნარჩენების (მაკულატურის) მიმართ საზოგადოების მიერ ჩამოყალიბებული რაციონალური მიდგომა.

**სანიტარული დაცვის უზრუნველყოფის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 02 06)**

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მერიის კეთილმოწყობის სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 185,4 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 180,4 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 97,3%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

ნაგავამტარების (30 ნაგავშემკრები ბუნკერის) დეზინსექცია - თვეში ერთჯერ, ყოველთვიურად;

ნაგავამტარების (30 ნაგავშემკრები ბუნკერის) დეზინსექცია დამატებით, თვეში ორჯერ, ივნისი-სექტემბრის განმავლობაში;

მრავალსართულიანი (3 სართულიანი და მეტი, 570 ობიექტი) სახლების სარდაფების დეზინსექცია, თვეში ერთ-ჯერ, ივნისი-სექტემბრის განმავლობაში;

ნაგავშემკრები კონტეინერების (4748 ც.) დეზინსექცია, თვეში ერთჯერ, ყოველთვიურად;

ქალაქის ტერიტორიის დერატიზაცია (980 ობიექტი), თვეში ერთჯერ, ყოველთვიურად;

ქალაქის ტერიტორიის (5.27 ჰა) დეზინსექცია, თვეში ერთჯერ, ივნისი-სექტემბრის განმავლობაში.

➤ **მიღწეული შედეგები:**

გაუმჯობესებული სანიტარული მდგომარეობა;  
 ეკოლოგიურად დაცული გარემო;  
 შემცირებული მღრღნელების რაოდენობა.

**გარე განათების რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02 07)**

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მერიის კეთილმოწყობის სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**



დაზუსტებული გეგმა - 4 121,3 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 4 092,5 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 99,3%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

განათების წერტების მოვლა-ექსპლოატაცია - წლის განმავლობაში ყოველდღიურად ხორციელდებოდა 15 764 წერტის და 288 ელ. გამანაწილებელი კარადის მოვლა-ექსპლოატაცია; შეიღება 1 900 ცალი ბოძი;

დაფარული იქნა გარე განათების წერტების და ქ. ბათუმის;მერიის ობიექტების ელექტროენერჯის საფასური 13 920 672 კვტ/სთ.;

ქუჩებისა და სკვერების გარე განათების კაპიტალური სამუშაოები - დამონტაჟდა გარე განათების 691 წერტი. განხორციელდა შემდეგი სამუშაოები: ანა კალანდაძის, ახალგაზრდობის, ბათუმგორის, ზედალელის, ამალღების, დაბა მახინჯაურში ჯინჭარაძის, მეფე მირიანის, პეტრე იბერის, სიმონ კანანელის, დაბა ჩაქვში ბერიძის ქუჩების, ხახულის II შესახვევის, დაბა მახინჯაურში ისრაფილ ჯინჭარაძის სახელობის სკვერის განათების სამუშაოები; დიდგორის ქუჩის და შესახვევების, მიქელაძის ქუჩის, შაშიკაშვილის ქუჩის, პეტრე იბერის მე-6 ჩიხის განათების სამუშაოები; ფსაროსის გზატკეცილის I და II ჩიხის, II ჩიხის შესახვევის, თევდორე მღვდლის ქუჩის, ანდრია პირველწოდებულის გზატკეცილის IX ჩიხის, მწვანე კონცხის დასახლებაში ბაღის ქუჩის, I ჩიხისა და შესახვევის განათების სამუშაოები; მარეთის ქუჩის, მესხეთის ქუჩის, თევდორე მღვდლის, თევდორე მღვდლის განათების მოწყობა.

➤ **მიღწეული შედეგები:**

სრულად განათებული ქალაქის ქუჩები;

უზრუნველყოფილი ფეხით მოსიარულეთა და სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის უსაფრთხო გადაადგილება დღე-ღამის ნებისმიერ დროს;

გაუმჯობესებული ქალაქის ინფრასტრუქტურის იერსახე ღამის პერიოდში;

ობიექტების მინათებით მიღებული მხატვრული ეფექტი.

**ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 03 02 08)**

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ა(ა)იპ - ბათუმის კორპუსი.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 4 470,6 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 3 101,5 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 69,4%. პროგრამის დაფინანსების დაბალი მაჩვენებელი განპირობებულია იმ ფაქტით, რომ მრავალკორპუსიანი სახლების ეზოების კომუნალური სისტემების მოწესრიგების სამუშაოები ხორციელდებოდა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სპეციალური ტრანსფერის ხარჯზე, რომელიც ჩარიცხვაც ადგილობრივი ბიუჯეტის ანგარიშზე საანგარიშო პერიოდში არ განხორციელებულა, შესაბამისად არ ანაზღაურებულა მიმწოდებელ კომპანიებზე შესრულებულის სამუშაოების ღირებულება (განხორციელდა 2014 წლის იანვარში). ასევე სრული მასშტაბით არ განხორციელებულა ავარიული სახლების რეაბილიტაციის სამუშაოები.

➤ **პროგრამის აღწერა:**

ქალაქში არსებულ 30 მრავალსართულიანი/მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სახურავებზე არსებული ექსპლუატაციისათვის არა ვარგისიანი ან/და ახალი სახურავის შეკეთება-მოწყობა; 4 სახლზე შეიცვალა 356.1 გრძ.მ. დაზიანებული [www.batumi.ge](http://www.batumi.ge)





წყალშემკრები ღარი და 1 სახლზე განხორციელდა 18 გრ/მ წყალსაწრეტი მილების შეკეთება-მოწყობა;

18 საცხოვრებელ სახლში განხორციელდა მოძველებულ (ექსპლუატაციისათვის არ ვარგისიანი) და ამორტიზებული შიდა წყლისა და საკანალიზაციო სისტემის შეცვლა და გამრიცხველიანება;

24 მრავალსართულიან საცხოვრებელ კორპუსში განხორციელდა ამორტიზირებული და შესაკეთებელი ლიფტის შეკეთება-რეაბილიტაცია;

კეთილმოეწყო და მოწესრიგდა მრავალსართულიანი/მრავალბინიანი სახლების ეზოები და სკვერები: 76 ეზოში დაიგო ფილა - 17800 კვ.მ., 12 ეზოში დაიგო ასფალტი - 26325 კვ.მ., ბორდიური - 1800 კვ.მ., კორდი - 2800 კვ.მ.;

26 ეზოში მოეწყო და მოწესრიგდა მრავალსართულიანი/მრავალბინიანი სახლების კომუნალური სისტემა, შედგენილი იქნა 25 ეზოს კომუნალური სისტემების მოწყობის საპროექტო დოკუმენტაცია;

მრავალსართულიან/მრავალბინიან საცხოვრებელ სახლების სადარბაზოებში დამონტაჟდა: 2841 სენსორული განათების ბრა, 2 ცალი კოდირებული საკეტი;

წლის განმავლობაში ხორციელდებოდა ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების კორპუსებსა და ქალაქში არსებული ურბანული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა, შეძენა-მოწყობა, საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა (14 სპორტული მოედანი, 73 საბავშვო ატრაქციონი, 18 საბაღე სკამი, 14 ფანჩატური; 1 ტრენაჟორი);

ქალაქში არსებულ 17 ავარიულ (სტიქიით დაზიანებული) სახლს ჩაუტარდა შეკეთება-რეაბილიტაცია (გამაგრება, აღდგენა, შეკეთება, მასალების შეძენა);

განახლდა გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა (1 ავტომობილი, მექანიკური, ავტომატური და ელექტრო ხელსაწყოების, სამუშაო იარაღების, სპეციალური ინვენტარის შეძენა-განახლება).

**➤ მიღწეული შედეგები:**

მოწესრიგებული, რეაბილიტირებული და განვითარებული ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობები და მათი ინფრასტრუქტურა;

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების ინსტიტუტის განვითარებაში ამხანაგობების ჩართულობა (თანამონაწილეობა) და ამაღლებული სამოქალაქო პასუხისმგებლობა.

**ქალაქის კეთილმოეწობა (პროგრამული კოდი 03 03)**

**საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა და ტექნიკური ზედამხედველობა (პროგრამული კოდი 03 03 01)**

**➤ პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მერიის კეთილმოეწობის სამსახური.

**➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 628,9 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 395,3 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 62,9%. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში არ დასრულებულა ანგისის სპორტული ბაზის პროექტირების სამუშაოები, ასევე სხვადასხვა მიზეზების გამო ინფრასტრუქტურული პროექტების შესრულების შეფერხების პარალელურად ვერ განხორციელდა სრულად ტექნიკური





ზედამხედველობის სამუშაოები, რამაც გამოიწვია პროგრამის შესრულების (დაფინანსების) დაბალი მაჩვენებელი.

➤ **პროგრამის აღწერა:**

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება - შედგენილ იქნა ქუჩების რეკონსტრუქციის 37 ც., ქუჩების სანიაღვრე სისტემების მოწყობის 8 ც., ქუჩების საკანალიზაციო სისტემების მოწყობის 4 ც., ქუჩების, პარკების, სკვერებისა და მოედნების განათების 32 ც., შენობა-ნაგებობების სამშენებლო-სარემონტო და სარეკონსტრუქციო სამუშაოების 11 ც., ქ. ბათუმში სახვადასხვა სამუშაოებისათვის 35 ც. საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია;

ავარიული სახლების გამაგრების საექსპერტო დასკვნისა და საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება - შედგენილ იქნა 10 ც. საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია;

ტექნიკური ზედამხედველობის გაწევა - ხორციელდებოდა ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებაზე ტექნიკური ზედამხედველობის გაწევა, რომელიც მოიცავდა შესრულებული სამშენებლო სამუშაოების, გამოყენებული კონსტრუქციების, ნაკეთობებისა და მასალების პროექტით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან, სამშენებლო ნორმებთან და წესებთან, სტანდარტებთან, ტექნიკურ პირობებთან და სხვა ნორმატიულ დოკუმენტაციასთან შესაბამისობის კონტროლს. ხორციელდებოდა მშენებლობაზე გამოყენებული კონსტრუქციების, ნაკეთობებისა და მასალების ტექნიკური პასპორტების, სერთიფიკატების, ლაბორატორიული შემოწმების შედეგებისა და ხარისხის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტების კონტროლი.

➤ **მიღწეული შედეგები:**

შეუფერხებლად განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტები; საპროექტო მოთხოვნების, სამშენებლო ნორმებისა და წესების შესაბამისად განხორციელებული სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები;

შესრულებული სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების ხარისხის კონტროლის სიტემა.

**ქალაქის დაგეგმარება (პროგრამული კოდი 03 03 02)**

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 116,5 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 34,3 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 29,4%. პროგრამით გათვალისწინებული ქალაქის ქუჩების დაგეგმარების სამუშაოები საანგარიშო პერიოდში არ განხორციელებულა, საკასო ხარჯი არ ყოფილა გაწეული ასევე საჯარო რეესტრის და სანოტარო მომსახურებაზე (იგეგმებოდა ბაგრატიონისა და ერისთავის ქუჩების რეაბილიტაციასთან დაკავშირებით საექსპოპრიაციო ქონების რეგისტრაცია), რამაც გამოიწვია პროგრამის შესრულების (დაფინანსების) დაბალი მაჩვენებელი.

➤ **პროგრამის აღწერა:**

ქალაქის ქონების (მ.შ. მიწის) პასპორტიზაცია - ბათუმის ტერიტორიაზე არსებული ქუჩების, შესახვევების და ჩიხების საკადასტრო აგეგმვა;

შენობა-ნაგებობების დემონტაჟი - განხორციელდა ქალაქში არსებული უსახური და უკანონო შენობა-ნაგებობების დემონტაჟი;

ქალაქის ქუჩების დაგეგმარება - საანგარიშო პერიოდში არ განხორციელებულა;



საჯარო რეესტრის და სანოტარო მომსახურება - საანგარიშო პერიოდში არ განხორციელებულა;

➤ **მიღწეული შედეგები:**

კოორდინატთა სისტემაში საკადასტრო სისტემით აგეგმილი მიწის ნაკვეთები და შენობა-ნაგებობები.

უსახური და უკანონო შენობებისაგან განთავისუფლებული ქალაქი.

**საკომპენსაციო თანხებით მოქალაქეთა უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 03 03 03)**

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 849,6 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 801,2 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 94,3%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდა ქონების მესაკუთრეებზე საკომპენსაციო თანხების გაცემა ქ. ბათუმის საკრებულოს 2009 წლის 27 ნოემბრის #92 განკარგულების შესაბამისად. საკომპენსაციო თანხების გაიცა ავტოფარეხების დემონტაჟის სანაცვლოდ მათ მფლობელებზე ;

ინფრასტრუქტურის მოწესრიგებისა და კეთილმოწყობითი სამუშაოების განხორციელების მიზნით ქონების მესაკუთრეებზე გაიცა კომპენსაციები, მათ შორის: გოგებაშვილის ქუჩაზე მიმდინარე შენობების სარეაბილიტაციოს სამუშაოებთან დაკავშირებით.

➤ **მიღწეული შედეგები:**

ქალაქის კეთილმოწყობის მიზნით განხორციელებული შენობა-ნაგებობების დემონტაჟის შემთხვევაში საკომპენსაციო თანხებით უზრუნველყოფილი მოსახლეობა; ქალაქის მოწესრიგებული იერსახე.

**ბათუმის ისტორიული უბნებისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 03 03 04)**

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მერიის კეთილმოწყობის სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 2 812,9 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 2 223,4 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 79,0%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

საზაფხულო თეატრის მშენებლობა და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა - თეატრის დარბაზსა და ფოიეში მოეწყო რთული კონფიგურაციის შეკიდული ჭერი და ნაწილობრივ კედლები თაბაშირის მუყაოს აკუსტიკური ფილებით სისქით, განხორციელდა მათი მოხატვა - 1 171 კვ.მ.; მოეწყო დეკორატიული ჭადები - 11 კომპლექტი; დამონტაჟდა კედლის ბრები - 4 ც.; დამონტაჟდა ჭერის სანათურები (პლაფონები) - 60 კომპლექტი; კეთილმოეწყო საზაფხულო თეატრის მიმდებარე ტერიტორია - ბუნებრივი გრანიტის ფილები დაეგო 2 280 კვ.მ ფართობზე, მოეწყო 300,85 გრძ.მ. ბაზალტის ბორდიურები;



შენობა-ნაგებობებისა და მიმდებარე ტერიტორიების სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები - გოგებაშვილის ქ. N40-42ა-ში მდებარე შენობას ჩაუტარდა დემონტაჟი საძირკვლებითურთ - 10 000 კვ.მ., აშენდა ახალი შენობა - 1 880 კვ.მ., მოეწყო სახურავი - 760 კვ.მ., მოპირკეთდა ფასადი - 1 622 კვ.მ., მოეწყო დეკორატიული ორნამენტები და ფიგურები - 772 გრმ.მ.; გოგებაშვილის ქ. N44-ში მდებარე შენობას ჩაუტარდა სარეკონსტრუქციო სამუშაოები: არსებულ კარ-ფანჯრებს ჩაუტარდა დემონტაჟი - 75 კვ.მ., დაიშალა არსებული მანსარდული სართული და სახურავი - 580 კვ.მ., დაიშალა არსებული აივნები და I სართულის გვერდით ფასადზე მიშენებული ნაწილი - 7,9 კვ.მ., დაიშალა მე-2 სართულის კედელი - 220 კვ.მ., მოეწყო მონოლითური საძირკველი - 7,6 კვ.მ., შენობის შიდა და გარე კონტურზე მოეწყო კედელი მცირე საკედლე ბლოკით - 101,3 კვ.მ., მოეწყო სახურავი ტყვიანარევი თუთიის ფურცლებით - 300 კვ.მ., მოეწყო დეკორატიული ორნამენტები - 374 გრმ.მ., შეიღება ფასადი - 520 კვ.მ.; განათდა გოგებაშვილის ქ. №36-38, №40-42ა, №42, №44, №50, №52 შენობების ფასადები: დამონტაჟდა განათების 197 წერტილი, დამონტაჟდა 197 ც. პროექტორი; შეკეთდა მაზნიაშვილის ქ. #25-ში მდებარე სარეაბილიტაციო სამუშაოების შედეგად დაზიანებული მოქ. ფ. კოლუაშვილის ბინის დაზიანებული ფართი;

ქუჩების, პარკებისა და სკვერების სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები" - ზ. გორგილაძის ქუჩაზე არსებულ სკვერში ცილინდრული ფორმის სარეკლამო ეკრანი ჩაირთო ელ. ენერჯის ქსელში;

ექსპერტიზის, საძიებო, საპროექტო და საზედამხედველო სამუშაოები - განხორციელდა წინა წლებში გაფორმებული ხელშეკრულებების შესაბამისად ნაკისრი ვალდებულებების დაფარვა;

ალფაბეტური კოშკის მშენებლობა და მიმდებარე ტერიტორიების კეთილმოწყობა - განხორციელდა წინა წლებში გაფორმებული ხელშეკრულებების შესაბამისად ნაკისრი ვალდებულებების დაფარვა.

➤ **მიღწეული შედეგები:**

გაუმჯობესებული ქალაქის ინფრასტრუქტურა;  
 გაზრდილი ქალაქის ტურისტული პოტენციალი და საერთაშორისო ცნობადობა.

**ქალაქის გაფორმება (პროგრამული კოდი 03 03 05)**

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მერიის კეთილმოწყობის სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 395,4 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 334,1 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 84,5%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

საშობაო-საახალწლო დღესასწაულისათვის ქალაქის გაფორმება - დამონტაჟდა ნაძვის ხე; ნაძვის ხეზე დამონტაჟდა 620 ც. ფერადი გრილიანდა და 800 ც. მანათობელი ბურთი; ქალაქის ქუჩებში დამონტაჟდა 100 ც. წვიმა, 22 ც. ფიფქი, 300 ც. გირლიანდა, 100 ც. გვირგვინი, 865 ც. საახალწლო აქსესუარი;

წლის განმავლობაში ქალაქის გაფორმების ღონისძიებები - შეძენილ იქნა დროშები (მონტაჟით და დემონტაჟით); განხორციელდა ალმების დამზადება-მონტაჟი და შემდგომი დემონტაჟი გზაგამყოფ ზოლში მარტულლებისათვის - 1 030 ც.; წლის განმავლობაში სამჯერ შეიკერა არასტანდარტული ზომის დროშები (9X6) - 6 ც.; ქალაქში



არსებული წრიული სადგრებისათვის შეიკერა და დამონტაჟდა დროშები - 80 ც.; ქალაქში არსებული სტაციონალური ფლაგშტოკებისათვის შეიკერა, გამოიფინა და დემონტაჟი ჩაუტარდა ორმაგი ცვეთით დროშებს - 124 ც.; დამონტაჟდა ნუმერაციის აღმნიშვნელი დაფები - 2 750 ც.; დამზადდა და დამონტაჟდა ქუჩის ნუმერაციის აღმნიშვნელი პატარა დაფები - 850 ც.; დამზადდა და დამონტაჟდა შრიფტული მისასალმებელი და სააგიტაციო ბანერები, პლაკატები - 10 ც.; ხორციელდებოდა ძეგლებისა და ბიუსტების მოვლა-დასუფთავებელი მცირე რესტავრაციით; შენობა-ნაგებობების ფასადები გაწმენდილ იქნა ლაქებისაგან - 2 000 კვ.მ.; დამზადებული და დამონტაჟებული იქნა ორმხრივი ბილბორდები - 6 ც.; განხორციელდა სხვადასხვა დღესასწაულებთან დაკავშირებით გასროლა;

ქანდაკეებისა და მემორიალების მოწყობა - დამზადდა და დამონტაჟდა არტემ ერქომაიშვილის ბარელიეფი; მოეწყო პეტრე მელიქიშვილის ბიუსტი, ლუკა ასათიანის ბიუსტი, ფადიკო გოგიტიძის ბიუსტი, ნიკო ფიროსმანის ბიუსტი და მემედ აბაშიძის ძეგლი.

➤ **მიღწეული შედეგები:**

მაღალმხატვრულ დონეზე გაფორმებული ქალაქი;  
თანამედროვე ტექნიკური აღჭურვილობით გაფორმებული დღესასწაულები და სხვადასხვა ღონისძიებები.

**პარკების, სკვერებისა და მოედნების კეთილმოწყობა (პროგრამული კოდი 03 03 06)**

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მერიის კეთილმოწყობის სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 2 676,6 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 1 926,4 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 72,0%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

ზღვისპირა ბილიკის მოწყობა - ხის ფაქტურით სავალ ბილიკზე და ბაქნებზე მოეწყო ბეჭდური ბეტონის არმირებული საფარი - 45 340 კვ.მ.; ველო-ბილიკზე მოეწყო ბეტონის არმირებული საფარი - 20 820 კვ.მ.; მოეწყო განათების ბოძები სანათებით - 136 ც.; მოეწყო რ/ბეტონის არხი - 932 კვ.მ.; მოეწყო მონოლითური რ/ბეტონის საყრდენი კედელი - 2 332 კვ.მ.;

ხე-მცენარეების შეძენა - შეძენილი იქნა და დაირგო 449 ძირი ვაშინგტონისის პალმა; ვარდების სკვერის, გორგასალის და გრიბოედოვის ქუჩების კვეთაში არსებული სკვერის კეთილმოწყობა - მოეწყო ბაზალტის ბორდიური - 822 გრძ.მ.; დაიგო დეკორატიული ბეტონის ფილები - 1 540 კვ.მ.; დაიგო კორდი - 361 კვ.მ.; დამონტაჟდა გარე განათების ბოძები სანათებით - 9 ც.;

ინასარიძის ქუჩაზე „ამაღლების სკვერის“ კეთილმოწყობა - დაიგო დეკორატიული ფილები - 279 კვ.მ.; დამონტაჟდა საბაღე სკამები - 8ც.; დაიდგა დეკორატიული სანაგვე ყუთები - 7 ც.; დამონტაჟდა დეკორატიული განათების ბოძები სანათებით - 19 ც.; მოეწყო ბეტონის ბორდიური - 403 გრძ.მ.; დაიგო ბეტონის დეკორატიული ფილები სისქით 4 სმ. - 262 კვ.მ.; დაიგო კორდი - 1 098 კვ.მ.; დამონტაჟდა ბოლნისის ტუფის ქვისაგან დამზადებული ჯვარი;

ჭავჭავაძის ქუჩის დასაწყისში გზაგამყოფ ზოლში სკვერის მოწყობა, ფიროსმანის ქუჩაზე ფიროსმანის სახელობის სკვერის მოწყობა - მოეწყო ბაზალტის ბორდიური -





211,3 გრძ.მ.; მოეწყო დეკორატიული ღობე - 54 გრძ.მ.; დაიგო კორდი - 1 102 კვ.მ.; მოეწყო ბაზალტის ბორდიური - (15X30) 186 გრძ.მ.; დაიგო დეკორატიული ფილა - 1 025 გრძ.მ.; ჩაიდგა გრანიტის დეკორატიული სკამები - 4 ც.;

აეროპორტის მიმდებარედ ზღვის სანაპიროზე დაზიანებული გარე განათების ბოძების და ელ. გადამცემი კაბელების აღდგენა - არ განხორციელებულა სამუშაოები ვინაიდან აჭარის მთავრობა ახორციელებს ზღვის სანაპიროს აღნიშნულ მონაკვეთზე ნაპირგამაგრებით სამუშაოებს. გარე განათების ბოძების და ელ. გადამცემი კაბელების აღდგენა უნდა განხორციელდეს ნაპირგამაგრებით სამუშაოების დასრულების შემდგომ.

➤ **მიღწეული შედეგები:**

შექმნილი მოსახლეობაზე ორიენტირებული ეკოლოგიური გარემო.

**ქალაქის გამწვანების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 03 07)**

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ა(ა)იპ - ბათუმის გამწვანებისა და ლანდშაფტური დაგეგმარების სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 2 020,0 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 2 009,7 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 99,5%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

ქალაქის გამწვანების მიმდინარე ღონისძიებების ფარგლებში განხორციელდა: 5,885.0 ათას კვ.მ. მწვანე საფარის გაცელება; 1500.0 ათას კვ.მ მწვანე ზოლში არსებული 3525 ძირი ხე-მცენარეების შეთეთრება; 5000 ძირი - მაღალტანიანი დეკორატიული მცენარეების გასხვლა-გაფორმება; 370 ძირი - დიდი ხეების გადაბეღვა ტექნიკის გამოყენებით; ხმელი და სტიქიის შედეგად დაზიანებული ხეების მოჭრა და გატანა; ხე-მცენარეების შეწამვლა შხამ-ქიმიკატებით, ასევე არსებული მცენარეების გამოკვება მინერალური და ორგანული სასუქებით, ნიადაგის გაფხვიერება ქალაქის ქუჩებსა და სკვერებში - 14 000 კვ.მ.; ქალაქის ქუჩებსა და სკვერებში არსებული ხე-მცენარეების, ბუჩქოვნებისა და სეზონურად მოყვავილე ყვავილების მორწყვა (480 კვ.მ.) მინერალური სასუქის შეტანა კლუმბებში, სკვერებში, გაზონებში და ქოთნებში; ქალაქის ტერიტორიაზე ფილებს შორის ამოსული სარეველების შეწამვლა ჰერბიციდით; მცენარეების, ბორდიურებისა და სავალი ბილიკების გაწმენდა სარეველებისა და ხავსისაგან; ზამთარში ხე-მცენარეების დაფერთხვა; მიწის გადაბარვა; სეზონურად მოყვავილე ყვავილების ამოღება; ხე-მცენარეებისა და ბუჩქოვნების განლაგება ქალაქის ქუჩებსა და სკვერებში და ასევე მათი გაფორმება დიზაინისა და სხვადასხვა ორნამენტების გამოყენებით;

ყვავილების შექმნა - 8420 კვ.მ-ზე საყვავილე კლუმბაში სეზონურად მოყვავილე 857 191 ცალი ყვავილის დარგვა და მათი მოვლა - პატრონობა;

შადრევნების მოვლა-შენახვა - გაიწმინდა და დასუფთავდა 7 ერთეული შადრევანი აგრეთვე პერიოდულად ხორციელდება მათი მიმდინარე რემონტი;

მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლების მიზნით ორგანიზაციისათვის შეძენილ იქნა 1 ერთეული თვითმცლელი ავტომანქანა და 1 ერთეული მიკროავტობუსი, 1 ერთეული ავტო-ცისტერნა; 1 ერთეული ტრაქტორი (დასატვირთი, საწამლავი და სხვა მექანიზმით); 2 ცალი ბენზო ხერხი; 10 ცალი საგორბელი და 15 ცალი ზურგზე მოსაკიდი საცელავი აპარატი, ასევე 3 ცალი კომპიუტერი და 2 ცალი ფოტოაპარატი.

➤ **მიღწეული შედეგები:**

მოვლილი და გაფორმებული პარკები და სკვერები;





ქალაქის გაფორმება თანამედროვე ლანდშაფტური დიზაინით;  
გაზრდილი მწვანე საფარის ფართობი.

**ბათუმის განვითარების ფონდი (პროგრამული კოდი 03 03 08)**

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ა(ა)იპ - ბათუმის განვითარების ფონდი.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 100,0 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 71,8 ათასი ლარი;  
შესრულების პროცენტი - 71,8%.

➤ პროგრამის აღწერა:

ბათუმის განვითარების პროექტების შემუშავება და მათ განხორციელებაში მონაწილეობის მიღება;

მატერიალურ ტექნიკური ბაზის განახლება - შეძენილი იქნა კომპიუტერული ტექნიკა.

➤ მიღწეული შედეგები:

ქ. ბათუმში ინფრასტრუქტურული პროექტების განვითარება;

ქალაქის ტურისტული და ეკონომიკური პოტენციალის გაზრდა.

**სასაფლაოების მოვლა-პატრონობა (პროგრამული კოდი 03 03 09)**

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ა(ა)იპ - ბათუმის სასაფლაოები.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 463.5 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 361.6 ათასი ლარი;  
შესრულების პროცენტი - 78.0%.

➤ პროგრამის აღწერა:

სასაფლაოების მოვლა-პატრონობა - მოწესრიგდა ქალაქის ფარგლებში არსებული სასაფლაოები; რეგულარულად სუფთავდებოდა მისასვლელი ბილიკები; განხორციელდა სასაფლაოების გამწვანება და სასაფლაოების პერიმეტრის გასწვრივ დეკორატიული ნარგავების და დამცავი მწვანე ნარგავების გაშენება;

ქალაქ ბათუმის სასაფლაოების ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობა - ფერიის სასაფლაოზე შემოღობილი იქნა 669.9 გრძივი მეტრი, კეთილმოწყობა ორი სველი წერტილი. დაგეგმილი სამუშაოები ვერ განხორციელდა სრულად, ვინაიდან მიმწოდებელმა კომპანიამ ვერ შეძლო სრულად შეესრულებინა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;

ფერიის პანთეონში გადმოსვენებულ იქნა 2008 წლის აგვისტოს თვეში რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპული თეიმურაზ ბერიძის ნეშტი;

განხორციელდა 14 უპატრონო მიცვალებულის დაკრძალვა;

მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება - შეძენილი იქნა კომპიუტერული ტექნიკა, სახაზინო და ბუღალტრული პროგრამა.

➤ მიღწეული შედეგები:

გაუმჯობესდა სასაფლაოების ინფრასტრუქტურის მდგომარეობა;

შეიქმნა მოსახლეობისათვის ხელმისაწვდომი და მოსახერხებელი მომსახურების დონე.

**ტურისტული ობიექტების მართვა (პროგრამული კოდი 03 03 11)**



➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მერიის განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 185,0 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 185,0 ათასი ლარი;  
შესრულების პროცენტი - 100%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

განხორციელდა შპს "ქ. ბათუმის ტურისტული ობიექტების მართვის სააგენტოს" მიმდინარე ხარჯების დაფინანსება - 137.5 ათასი ლარი; შპს "ქ. ბათუმის ტურისტული ობიექტების მართვის სააგენტოს" კაპიტალის ზრდა, ავტომანქანისა და საახალწლო პერიოდისათვის საგამოფენო ჯიხურის შექმნის მიზნით - 47.5 ათასი ლარი.

➤ **მიღწეული შედეგები:**

საექსპლოატაციო მდგომარეობაში მყოფი ტურისტული ობიექტები.

**პრიორიტეტი: განათლება**

სკოლამდელი განათლება (პროგრამული კოდი 04 01)

**საბავშვო ბაღების განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 04 01 01)**

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ა(ა)იპ - ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანება.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 6 732,3 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 6 486,5 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 96,3%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

სააღმზრდელო პროცესის ორგანიზება - მიმდინარე ეტაპისათვის ქ. ბათუმში თვითმმართველობის მიერ დაფუძნებული საბავშვო ბაღების სისტემა 28 საბავშვო ბაღისგან შედგება და 185 სააღმზრდელო ჯგუფს მოიცავს, რომელიც მთლიანობაში 6460 აღსაზრდელს ითვლის, საბავშვო ბაღების მართვა ა(ა)იპ - ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანების მეშვეობით ხორციელდება, რომელსაც გააჩნია შესაბამისი საკადრო რესუსი და მართვის ორგანიზაციული სტრუქტურა. საბავშვო ბაღებში სწორი სააღმზრდელო პროცესის ორგანიზების გზით აღსაზრდელისთვის შექმნილია ყველა პირობა გონებრივი და ფიზიკური განვითარებისათვის ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით;

საბავშვო ბაღის აღსაზრდელთა კვებით უზრუნველყოფა - საბავშვო ბაღებში აღსაზრდელთა კვება ხორციელდებოდა "ბავშვთა სკოლამდელ დაწესებულებებში კვების ორგანიზაციის სანიტარიული წესებისა და ნორმების დამტკიცების შესახებ" საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2003 წლის 12 ნოემბერის № 280/ნ ბრძანების შესაბამისად;

საბავშვო ბაღების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება - შესყიდული იქნა საბავშვო ბაღების შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის აუცილებელი ტექნიკა და ინვენტარი: ავეჯი, სამზარეულოს ტექნიკა, სათამაშოები, პიანინოები და სხვა.

➤ **მიღწეული შედეგები:**

საბავშვო ბაღებში სწორი სასწავლო-სააღმზრდელო პროცესი;



ბავშვის ინტერესებსა და უფლებებზე ორიენტირებული ფიზიკური და სოციალური გარემო.

**საბავშვო ბაღების შენობების რეაბილიტაცია 04 01 02)**

**➤ პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მერიის კეთილმოწყობის სამსახური.

**➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 1 377,3 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 1 197,6 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 87,0%.

**➤ პროგრამის აღწერა:**

**საბავშვო ბაღების კაპიტალური რემონტი** - კაპიტალური რემონტი ჩაუტარდა №6 საბავშვო ბაღს, სადაც შესაძლებელი გახდა დამატებით 2 სააღმზრდელო ჯგუფის განთავსება: კეთილმოეწყო არსებული შენობა; მოეწყო სახურავი - 834 კვ.მ.; დაიგო ლამინირებული იატაკი; განახლდა შიდა და გარე წყლისა და კანალიზაციის სისტემები; მოეწყო გათბობის სისტემა, სახანძრო სიგნალიზაციისა და ინტერნეტის ქსელი; მოეწყო მანსარდული სართული - 702 კვ.მ.; კეთილმოეწყო ეზო და ბეტონის ღობე;

კაპიტალური რემონტი ჩაუტარდა გონიოში არსებულ შენობას, სადაც შესაძლებელი გახდა 4 სააღმზრდელო ჯგუფის განთავსება: კეთილმოეწყო არსებული შენობა; საბავშვო ოთახებში დაიგო ლამინირებული იატაკი; მოეწყო წყლისა და კანალიზაციის სისტემები; მოეწყო გათბობის სისტემა; მოეწყო სახანძრო სიგნალიზაციის სისტემა; კეთილმოეწყო ეზო: გაკეთდა ბორდიურები, დაიგო დეკორატიული ფილები და კორდი;

კაპიტალური რემონტი ჩაუტარდა №21 საბავშვო ბაღს, სადაც მოეწყო სახურავი; ღობე მონოლითური რკ/ბეტონის სვეტებით; კეთილმოეწყო ეზო, გაკეთდა ბორდიურები, დაიგო დეკორატიული ფილები.

**ახალი საბავშვო ბაღების მშენებლობა** - რომლის ფარგლებშიც განხორციელდა 266ბ კვარტალში, ლერმონტოვისა და ხიმშიაშვილის ქუჩების მიმდებარედ და ქ. ბათუმში ადლიის დასახლებაში 3 სართულიანი საბავშვო ბაღების მშენებლობა. თითოეული შენობა გათვალისწინებულია 210 აღსაზრდელზე. შენობები მოეწყო საბავშვო ბაღისათვის აუცილებელი ყველა თანამედროვე მოთხოვნების გათვალისწინებით.

**➤ მიღწეული შედეგები:**

აშენებული საბავშვო ბაღის 2 შენობა;

რეაბილიტირებული საბავშვო ბაღის 3 შენობა;

თანამედროვე და შესაბამისი მატერიალურ ტექნიკური ბაზით აღჭურვილი ბაზით საბავშვო ბაღები;

საბავშვო ბაღის აღსაზრდელებისათვის შექმნილი კეთილმოწყობილი გარემო.

**პრიორიტეტი: კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი**

**სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01)**

**სპორტული ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 01 01)**

**➤ პროგრამის განმახორციელებელი:**



ქ. ბათუმის მერიის განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 237,1 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 229,5 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 96,8%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

ბათუმის ადმინისტრაციებში შემავალ უბნებს შორის სპორტული თამაშები - ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო 795 მსურველმა, რომელსაც ხელმძღვანელობდა 26 კოორდინატორი. გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ თასებით, დიპლომებით და ფულადი ჯილდოებით, ასევე საუკეთესო 6 მწვრთნელ - კოორდინატორი დაჯილდოვდა ფასიანი საჩუქრებით.

ტურნირში საპლაჟო ფეხბურთი „ბათუმის თასზე“ - მონაწილეობა მიიღო 6 გუნდმა. ფესტივალის გამარჯვებულ გუნდს მიენიჭა ტურნირის ჩემპიონატის წოდება და დაჯილდოვდა ბათუმის თასითა და მედლებით.

საერთაშორისო ტურნირი ჭადრაკში ახალგაზრდებს შორის მონაწილეობდნენ 4 ქვეყნის მოჭადრაკეები - საქართველო, უკრაინა, აზერბაიჯანი და სომხეთი, სულ 145 მოჭადრაკე.

სპორტული თამაშები სკოლებს შორის ჩატარდა შემდეგ სახეობებში:

- ა) მინი ფეხბურთი - მასში მონაწილეობა მიიღო 18 საჯარო და 6 კერძო სკოლამ;
- ბ) ფრენბურთი: ვაჟებს შორის მონაწილეობა მიიღო 7 საჯარო და 1 კერძო სკოლამ. გოგონებს შორის მონაწილეობა მიიღო 5 საჯარო და 3 კერძო სკოლამ;
- გ) ხელბურთი - მონაწილეობა მიიღო 6 საჯარო და 2 კერძო სკოლამ;
- დ) კალათბურთი - მონაწილეობა მიიღო 5 საჯარო და 3 კერძო სკოლამ;
- ე) მძლეოსნობა - მონაწილეობა მიიღო 15 საჯარო და 5 კერძო სკოლამ;
- ვ) ჭადრაკი - მონაწილეობა მიიღო 6 საჯარო და 9 კერძო სკოლამ;
- ზ) მაგიდის ჩოგბურთი - მონაწილეობა მიიღო 8 საჯარო და 8 კერძო სკოლამ.

ჩატარდა სპორტის 8 სახეობაში. მონაწილეობა მიიღო 21 საჯარო და 14 კერძო სკოლამ.

საერთაშორისო ტურნირი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში მუხრან ვახტანგაძის თასზე - მონაწილეობა მიიღო 5 უცხოელმა და 1 ქართველმა გუნდმა, სულ 63 სპორტსმენმა.

საერთაშორისო ტურნირი ვ. ალთაბაევის თასზე კალათბურთში - ტურნირის ჩასატარებლად მოწვეული იყო საქართველოს კალათბურთის ფედერაციის მიერ სერთიფიცირებული მაღალი კვალიფიკაციის მსაჯეები (4 კაცი) და ადგილობრივი (4 კაცი). საპრიზო ადგილზე გასული გუნდები დაჯილდოვდნენ მედლებითა (45 ცალი) და დიპლომებით (45 ცალი). ასევე დაწესებული იყო სპეციალური პრიზები საუკეთესო ნომინაციებში გამარჯვებულთათვის (4 ცალი). ტურნირს ესწრებოდა.

სპორტის დამსახურებულ მოღვაწეთა საახალწლო-საშობაო შეხვედრაზე მოწვეულ იქნენ წარმატებულ სპორტსმენები, ვეტერანები, სპორტის მასწავლებლები და სპორტული ჟურნალისტები, გაიმართა საახალწლო შეხვედრა და მათი დაჯილდოება სპეციალური ნომინაციებით.

სხვადასხვა სპორტული ღონისძიებები ფარგლებში ჩატარდა სახვადასხვა სპორტული ტურნირები, განხორციელდა სპორტული ინიციატივები. კერძოდ: დედის და ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ტურნირი ნარდში - მონაწილეობდა 64 ქალბატონი, სამინისტროებსა და უწყებებს შორის ტურნირი მინი ფეხბურთში - 8 გუნდი, ფაშიზმზე გამარჯვების დღისადმი მიძღვნილი ტურნირი შაშსა და ნარდში - 32 ვეტერანი და ქ. ბათუმის ღია პირველობის ორგანიზება ბილიარდში - 16 სპორტსმენი.





თითოეულ ნომინაციაში გამოვლინდა 3-3 გამარჯვებული, რომლებიც დაჯილდოვდნენ დიპლომებითა და ფულადი ჯილდოთი;

ქვიშის სპორტის სახეობებში საერთაშორისო ფესტივალი ფრენბურთში - ფესტივალი ჩატარდა ქ. ბათუმის მხარდაჭერით. მასში მონაწილეობა მიიღო 8 გუნდმა;

ტურნირი ჩოგბურთში მერიის თასზე - მონაწილეობა მიიღო 4 გუნდმა: რუსთავის, ქუთაისის და ბათუმის ორ გუნდებმა;

საერთაშორისო ტურნირი წყალბურთში - ტურნირში მონაწილეობა მიიღო 8 გუნდმა და 115 სპორტსმენმა.

➤ **მიღწეული შედეგები:**

გამოვლინდნენ პერსპექტიული სპორტსმენები;

სპორტის სხვადასხვა სახეობებში ადგილობრივ და საერთაშორისო რანგის შეჯიბრებებში მოხდა სპორტსმენტა წარმატებული გამოსვლა;

მოხდა უცხოელი სპორტსმენების გამოცდილების გაზიარება და დამყარდა კავშირი უცხოურ სპორტულ ორგანიზაციებთან.

**სპორტული საკლუბო გუნდების მხარდაჭერა (პროგრამული კოდი 05 01 02)**

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მერიის განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 2,630.4 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 2,611.8 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 99.3%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა შედეგი სპორტული კლუბები:

შპს საფეხბურთო კლუბი „დინამო ბათუმი“ - 1,470.4 ათასი ლარი;

შპს სარაგბო კლუბი „ბათუმი“ - 547.0 ათასი ლარი;

შპს ფრენბურთის კლუბი „ბათუმი“ - 75.0 ათასი ლარი;

შპს ხელბურთის კლუბი „ბათუმი“ - 118.0 ათასი ლარი;

შპს წყალბურთის კლუბი „ბათუმი“ - 60.0 ათასი ლარი;

ა(ა)იპ - ბათუმის საცხენოსნო კლუბი - 131.4 ათასი ლარი;

ა(ა)იპ - ბათუმის ავტოდრომი - 150.0 ათასი ლარი;

ა(ა)იპ - საჭადრაკო კლუბი „ნონა“ - 60.0 ათასი ლარი.

➤ **მიღწეული შედეგები:**

კლუბები წარმატებულად გამოვიდნენ საქართველოს ჩემპიონატებში;

ბათუმელი სპორტსმენები მოხვდნენ სხვადასხვა რანგის ნაკრებებში;

გაიზარდა მაცურებელთა რაოდენობა.

**სპორტის ზამთრის სახეობის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01 03)**

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ა(ა)იპ - ბათუმის ყინულის სასახლე.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 850.0 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 482.9 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 56.8%; პროგრამის შესრულების დაბალი მაჩვენებელი განპირობებულია იმ ფაქტორით, რომ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ყინულის





სასახლის ელექტრო ენერჯის საფასურის დაფარვა ხორციელდებოდა ქ. ბათუმის მერიის მიერ, ვინაიდან ობიექტი ირიცხებოდა ქ. ბათუმის მერიის ბალანსზე.

**➤ პროგრამის აღწერა:**

ფიგურული სრიალის სპორტული ინფრასტრუქტურის ხელშეწყობა - განვითარება - განხორციელდა სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფებისათვის ვარჯიშების ორგანიზება და შესაბამისი პირობების შექმნა;

სპორტული და გასართობი ხასიათის პროექტების დაგეგმვა და ორგანიზება - გაიმართა საახალწლო კონცერტები, როგორც ადგილობრივი ისე რაიონებიდან მოწვეული ბავშვებისათვის, გაიმართა დედის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები; ბავშვთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი კონცერტი, ტურისტების დაინტერესებისა და მოზიდვისათვის საინტერესო და სანახაობრივი კონცერტების ორგანიზება, საქველმოქმედო მიუსაფარ და უპატრონო ბავშვებისათვის შოუ-კონცერტების მომზადება;

უნიფორმებისა და ციგურების შეძენა - შეძენილ იქნა სპეციალური ფორმები.

**➤ მიღწეული შედეგები:**

ბავშვებისა და მოზარდების მოზიდვა და ჩაბმა გამაჯანსაღებელ სპორტულ მეცადინეობებში;

სპორტულ და საჩვენებელ ღონისძიებებზე მაცურებელთა ზრდა.

**სასპორტო და დასვენების ობიექტების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 05 01 04)**

**➤ პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მერიის კეთილმოწყობის სამსახური.

**➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 4,236.7 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 452.0 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 10.7%. პროგრამის შესრულების დაბალი მაჩვენებელი განპირობა იმ ფაქტმა, რომ სარაგბო სტადიონის მშენებლობის სამუშაოები საანგარიშო პერიოდში არ განხორციელებულა, მშენებლობის მიზნით შესაბამისი სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება გაფორმდა 2013 წლის დეკემბერში, აღნიშნულ პერიოდამდე სტადიონის მშენებლობისათვის საჭირო მიწის ნაკვეთი არ ირიცხებოდა თვითმმართველობის საკუთრებაში.

**➤ პროგრამის აღწერა:**

სპორტული მოედნების მშენებლობა - დაიწყო მცირე ზომის ყინულის მოედნის მრავალფუნქციურ სპორტულ დარბაზად გადაკეთების სამუშაოები: მოეწყო ბეტონის იატაკი, ლითონის ცხაურა, იატაკზე ქვიშა-ცემენტის ხსნარით მოეწყო მოჭიმვა - 1 827,1 კვ.მ.; გაირეცხა ტენტი - 3 360 კვ.მ.; მოეწყო წერტილოვანი საძირკველი; ლ/კონსტრუქციით მოეწყო ტრიბუნები 850 კაცზე. სამუშაოები ვერ დასრულდა დადგენილ ვადებში ვინაიდან ჰაერპნევმატური ნაგებობა 2013 წლის დეკემბრის თვეში დაზიანებული იქნა თოვლის მიერ;

ყინულის მოედნის ელ. ენერჯის და წყალ-კანალიზაციის ქსელში ჩართვის სამუშაოები - დაფარული იქნა ყინულის მოედნის ელ. ენერჯის და წყალ-კანალიზაციის ქსელში ჩართვის საფასური;

სასპორტო სკოლის შენობების კაპიტალური რემონტი - დაფარულ იქნა წინა წლებში გაფორმებული ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებები;



საფეხბურთო მოედნის მშენებლობა და მიმდებარე ტერიტორიების კეთილმოწყობა - დაიფარა წინა წლებში გაფორმებული ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებები; სარაგბო სტადიონის მშენებლობა - სამუშაოები საანგარიშო პერიოდში არ განხორციელებულა.

➤ **მიღწეული შედეგები:**

სპორტული კომპლექსის შექმნა;  
ჯანსაღი მომავალი თაობის აღზრდა.

კულტურის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02)

**კონკურსებისა და კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებების მხარდაჭერა (პროგრამული კოდი 05 02 01)**

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მერიის განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 62,5 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 41,1 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 65,7%. პროგრამის ფარგლებში მემორიალების ესკიზების შესაქმნელად გამოცხადებული კონკურსები არ შედგა, რამაც განაპირობა პროგრამის შესრულების დაბალი მაჩვენებელი.

➤ **პროგრამის აღწერა:**

თანამედროვე პოეტებისა და პროზაიკოსების ფორუმი ბათუმში - პროექტი მიმართული იყო საქართველოს შემოქმედთა ხელშეწყობისაკენ. მასში მონაწილეობდა ქართული პოეზიისა და პროზის წარმომადგენლები. პროექტმა ხელი შეუწყო ჩვენი ქვეყნის ინტელექტუალური რესურსების წარმოჩენას. განხორციელდა საგამოფენო დარბაზში ფოტო-სურათების გამოფენა, კრებულის გამოცემა;

ცნობილ ბათუმელთა საიუბილეო თარიღებისადმი და საპატიო ბათუმელებისადმი მიძღვნილი ღონისძიებები, რომლის ფარგლებში თამარ სულხანიშვილს და ბათუმელ მწერალს გენრიეტა ქუთათელაძეს გადაეცათ ერთჯერადი ფულადი ჯილდოები; ასევე საპატიო ბათუმელებს: დიმიტრი შიოლაშვილს, ვახტანგ ღლონტს, ნინო ნიჟარაძეს, ზურაბ ხაბაძეს, აკაკი ბერიძეს, ოთარ შარაძეს, გოდერძი ტოტოჩავას, ვაჟა ჯოხაძეს, შაქრო ემირიძეს და შუქრი მურვანიძეს გადაეცათ ერთჯერადი ფულადი ჯილდოები;

სხვადასხვა ღონისძიებები ფარგლებში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

ა) ლიტერატურული პრემიების მინიჭებასთან დაკავშირებულ ღონისძიებაზე საზეიმო ვახშმის უზრუნველყოფა;

ბ) ინტელექტუალური კლუბის „რა? სად? როდის?“ აჭარის ნაკრები გუნდის ტრანსპორტირება სანქტ-პეტერბურგში;

გ) ოჯახში დამზადებულ ღვინის მეექვსე ფესტივალზე ნომინაციაში „დამწყები მეღვინე“ გამარჯვებულის ერთჯერადი ფულადი პრემიით დაჯილდოება;

დ) მშენებარე წმინდა ილია მართლის სახელობის ტაძრისათვის დახმარების მიზნით დაგეგმილ საქველმოქმედო კონცერტის მონაწილეთათვის სასტუმრო მომსახურების უზრუნველყოფა;

კონკურსები მემორიალების ესკიზების შესაქმნელად - ღონისძიება არ განხორციელებულა ვინაიდან გამოცხადებული კონკურსები არ შედგა.

➤ **მიღწეული შედეგები:**



მხარდაჭერილი იქნა ადგილობრივი ინიციატივები, სხვადასხვა ხასიათისა და შინაარსის პროექტები.

### **ბათუმი არტი - ფესტივალების ქალაქი (პროგრამული კოდი 05 02 02)**

#### **➤ პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მერიის განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის სამსახური.

#### **➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 380,4 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 379,8 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 99,8%.

#### **➤ პროგრამის აღწერა:**

შავიზღვისპირეთის ქვეყნების ქალ მხატვართა საერთაშორისო ფესტივალი - 14 მაისიდან 18 მაისის ჩათვლით გაიმართა შავიზღვისპირეთის ქვეყნების ქალ მხატვართა საერთაშორისო ფესტივალი, გაიმართა ერთობლივი ხატვა, მოეწყო გამოფენები, ჩატარდა მასტერკლასები.

ბათუმის საერთაშორისო არტ ფესტივალი - „მარბელა - ბათუმი“ - გაიმართა 31 აგვისტოდან 4 სექტემბრის ჩათვლით, რომლის ფარგლებში, არტ-პავილიონებში და ღია ცის ქვეშ მოეწყო ქართველ და ესპანელ მხატვართა გამოფენა, ჩატარდა კონცერტები ქართველი და ესპანელი მუსიკოსების მონაწილეობით. სხვა სანახაობებთან ერთად, სპეციალურად მოწყობილ ღია პავილიონებში მოეწყო გამოფენა-გაყიდვები.

მოტოციკლეტისტთა (ბაიკერთა) IV საერთაშორისო ფესტივალი - ჩატარდა 30 აგვისტოდან 1 სექტემბრის ჩათვლით. პროექტში მონაწილეობა მიიღო სხვადასხვა ქვეყნის 300-მდე ბაიკერმა, პროგრამა ხორციელდებოდა 3 დღის განმავლობაში, ყოველი დღის ბოლოს გაიმართა კონცერტები, სადაც წარმოდგენილი იყო, როგორც საქართველოს, ასევე ფესტივალში მონაწილე სხვა ქვეყნების ფოლკლორული შემოქმედება.

კლასიკური მუსიკის V საერთაშორისო ფესტივალი - „ლამის სერენადები“ - 24 აგვისტოდან 29 აგვისტოს ჩათვლით გაიმართა კლასიკური მუსიკის V საერთაშორისო ფესტივალი - „ლამის სერენადები“. კლასიკური მუსიკის ვარსკლავების მონაწილეობით (70 მონაწილე) საზაფხულო თეატრში მოეწყო კონცერტები. სადამოებს დაესწრო ქალაქის საზოგადოება და ბათუმის სტუმრები. შესრულდა კლასიკური მუსიკის ნაწარმოებები.

ბათუმის საავტორო ფილმების VIII საერთაშორისო ფესტივალი - ჩატარდა 15 სექტემბრიდან 22 სექტემბრის ჩათვლით. განხორციელდა საფესტივალო ფილმების ჩვენების უფლების შეძენა. ჩატარდა კინო-ფესტივალის საზეიმო გახსნისა და დახურვის ცერემონიალი. მოწვეული იყო ცნობილი კინო-რეჟისორები და კრიტიკოსები. გაიმართა საინტერესო, ნოვატორული და აქტუალური ფილმების ჩვენება. მოეწყო ცნობილ რეჟისორთა მასტერკლასები.

მოკლემეტრაჟიანი ფილმების ფესტივალი - ჩატარდა 30 აგვისტოდან 5 სექტემბრის ჩათვლით. ღია ცის ქვეშ ბულვარის მიმდებარე ტერიტორიაზე გაიმართა კინო ჩვენებები, მოეწყო მუსიკალური ღონისძიებები, რომელიც ითვალისწინებდა ქართველი მუსიკის ჟანრში მოღვაწე ახალგაზრდა მუსიკოსების ხელშეწყობას და წარდგენას.

ფოლკლორული და სასულიერო მუსიკის VIII საერთაშორისო ფესტივალი - გაიმართა ქართველი და უცხოელი შემსრულებლების კონცერტები, სადაც გაჟღერდა ამ ქვეყნების ავთენტური ფოლკლორული მუსიკა. მოეწყო ქართველი და უცხოელი ფოლკლორისტების კონცერტები. პროექტი მიმართული იყო კულტურული



მემკვიდრეობის დაცვა-გადარჩენისაკენ. შესრულდა სხვადასხვა ქვეყნის ავთენტური ფოლკლორის ნიმუშები.

➤ **მიღწეული შედეგები:**

პროგრამის ფარგლებში ჩატარებული საერთაშორისო ფესტივალების შედეგად გაიზარდა ქალაქის ცნობადობა საერთაშორისო მასშტაბით;

გაიზარდა ინტერესი უცხოელი შემსრულებლების ბათუმის საერთაშორისო ფესტივალების მიმართ, რაც გამოიხატა ბათუმის 2013 წლის საერთაშორისო ფესტივალებში 572 უცხოელი შემსრულებლების მონაწილეობით.

**ქალაქის კულტურული და ტურისტული პოტენციალის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02 03)**

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მერიის განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 170,0 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 115,5 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 67,9%. პროგრამის შესრულების დაბალი მაჩვენებელი განაპირობა დიასპორების ხელშეწყობის ღონისძიების ნაწილობრივმა შესრულებამ (საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა მხოლოდ სომხური და რუსული დიასპორების ღონისძიებები, მათი მიმართვის საფუძველზე), ასევე არ განხორციელებულა ღონისძიება „ბათუმი კრეატიული ქალაქი“.

➤ **პროგრამის აღწერა:**

ლიტერატურული საღამოები - საქართველოს მწერალთა კავშირის აჭარის ორგანიზაციის მიერ ორგანიზებულ კონკურსში მონაწილე გამარჯვებულ პირთათვის ქ. ბათუმის მერიამ გასცა ერთჯერადი ფულადი განაცემი (7 კაცი), ასევე მწერალ ცისანა ანთაძეს, მრავალწლიანი, ნაყოფიერი შემოქმედებითი მოღვაწეობისათვის, გადაეცა ერთჯერადი ფულადი განაცემი.

ბათუმელ ხელოვანთა ხელშეწყობა - პროექტის ფარგლებში განხორციელდა პრეზენტაცია, მოეწყო მასტერკლასი და შიდა პლენერები ადგილობრივი მხატვრებისათვის, ორგანიზება გაეწია ლიტველ და ქართველ, ასევე ქართველ და პოლონურ მხატვართა საერთაშორისო პლენერს. მოეწყო გასვლითი გამოფენები, ორგანიზება გაეწია შუალედურ გამოფენებს, მოეწყო შემაჯამებელი გამოფენა. ასევე პროექტში მონაწილე მხატვრებმა (4 კაცი) მონაწილეობა მიიღეს საერთაშორისო ღონისძიებებში, რომლის მიზანი იყო კონტაქტების დამყარება უცხოელ მხატვრებთან და ერთობლივი და გამოფენების მოწყობა.

ბათუმელი და ბათუმელებზე შექმნილი წიგნების გამოცემის ხელშეწყობა - პროექტის ფარგლებში განხორციელდა წიგნის „ივანე მესხი“ გამოსაცემად მომზადება და ბეჭდვა.

ზურაბ ხაბაძის კატალოგის გამოცემა - დაიბეჭდა ბათუმელი მხატვრის ზურაბ ხაბაძის ნამუშევრების ამსახველი კატალოგი. (ტირაჟი-1000 ცალი)

ფილმი ბათუმურ ისტორიებზე - პროექტის ფარგლებში გადაღებული იქნა მხატვრულ-დოკუმენტურის ფილმი, სადაც მოთხრობილია ბათუმელ მსახიობებზე, მხატვრებზე, ექიმებზე, პედაგოგებზე, სპორტსმენებზე, მშენებელ - არქიტექტორებზე, ცეკვის დიდოსტატებზე, მწერლებზე, პოეტებზე სხვადასხვა პროფესიის არაორდინალურ ადამიანებზე ქალაქის კოლორიტებზე.





ფოტო პროექტი „ძველი ბათუმი“ - პროექტის ფარგლებში გადაღებული იქნა ბათუმის ძველი უბანი, თავისი ქუჩებით, არქიტექტურული ძეგლებით, ე.წ. „იტალიური ეზოებით“, ქუჩის ყოველდღიური ბუნებრივი სიუჟეტები და ა.შ. განხორციელდა აღნიშნული ფოტოების ამსახველი კატალოგის გამოცემა.

შემოქმედთა მხარდაჭერა - პროექტის ფარგლებში განხორციელდა ბათუმში არსებულ შემოქმედთა მხარდამჭერის ღონისძიებები, მათ შორის ქვეყნის შიგა და საერთაშორისო კონკურსებსა და ფესტივალებზე ტრანსპორტით უზრუნველყოფა და სხვა ხარჯები. აღნიშნული პროექტიდან საანგარიშო პერიოდში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

ა) დაფინანსდა გუნდი „ფერისცვალების“ ტრანსპორტირების ხარჯები ქ. ტერნოპოლში (11 კაცი)

ბ) დაფინანსდა ჯგუფ „GEO PLANET“-ის წევრების ტრანსპორტირების ხარჯები გერმანიაში (ქ. ბერლინი და ქ. პოცდამი, 3 კაცი)

გ) დაფინანსდა ანსამბლ „კოლხას“ წევრების ტრანსპორტირების ხარჯები ქ. ხმელნიცკში;

დ) დაფინანსდა ანსამბლ „ლიმპოპოს“ ქ. ერევანში ტრანსპორტირების ხარჯები;

ე) დაფინანსდა ბათუმელი მომღერლის ავთანდილ აბესლამიძის საერთაშორისო ფესტივალზე ქ. ბერლინში (გერმანია) გამგზავრების ხარჯი;

დიასპორების ხელშეწყობის ღონისძიებები - 2013 წლის 26, 28 მაისს საქართველოსა და სომხეთის დამოუკიდებლობის დღეებისადმი მიძღვნილი ღონისძიების მაღალორგანიზებულად ჩატარების მიზნით ა(ა)იპ-აჭარის სომეხთა კავშირისათვის გამოიყო თანხა. ასევე აღნიშნულ ორგანიზაციას გამოეყო თანხა სემინარზე (სტრასბურგში) და კონფერენციაზე (ქ. კიოლნში) დიასპორის წარმომადგენლის გამგზავრებისთვის, საახალწლო - საშობაო ღონისძიებისათვის თანხა გამოეყო ა(ა)იპ აჭარის რუსულენოვან ინტელიგენციის ასოციაცია „რასვეტს“.

ბათუმი კრეატიული ქალაქი - ღონისძიება არ განხორციელებულა, პროექტის ფარგლებში დაგეგმილი იყო კვლევა, რომელიც შეისწავლიდა ქალაქ ბათუმის კულტურულ-ეკონომიკურ პოტენციალს. მიზანშეწონილად ჩაითვა, მსგავს დოკუმენტზე მუშაობა განხორციელებულიყო შიგა რესურსების ხარჯზე ქ. ბათუმის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის და განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის სამსახურების კოორდინაციით.

**➤ მიღწეული შედეგები:**

გამოიცა ბათუმელი მხატვრის, ზურაბ ხაბაძის ნამუშევრების ამსახველი კატალოგი 1000 ცალი;

მოეწყო ადგილობრივი მხატვრებისათვის პრეზენტაცია, მასტერკლასები, საერთაშორისო პლენერები, შუალედური და შემაჯამებელი გამოფენები. ამალდა მხატვართა პროფესიული დონე, გაღრმავდება მათი შემოქმედებითი კავშირები ქვეყნის გარეთ.

ხელი შეეწყო საქართველოში მცხოვრები სხვადასხვა ეროვნების მოქალაქეთა ინტეგრაციას ქართულ საზოგადოებასთან;

**ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02 04)**

**➤ პროგრამის განმახორციელებელი:**





ა(ა)იპ - ბათუმის ხელოვნებისა და კულტურის ცენტრი.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 1 961,7 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 1 903,2 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 97,0%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

კულტურულ- შემოქმედებითი ხასიათის პროექტების დაგეგმვა, ორგანიზება და განხორციელება - ღონისძიებების ფარგლებში მოეწყო საანგარიშო კონცერტები, საიუბილეო საღამოები, პრეზენტაციები (ქალთა კამერული გუნდის დაარსების 15 წლისთავის შემოქმედებითი საღამო, როკ-ანსამბლ "ზეთლეშის" პრეზენტაცია), სხვადასხვა სახელმწიფო დღესასწაულებთან დაკავშირებული მემორიალური და საზეიმო ღონისძიებები, შემოქმედებითი ახალგაზრდობის კონცერტები, ღვაწლმოსილ შემოქმედთა საიუბილეო საღამოები, მემორალური საღამოები (ენვერ ხაბაძის იუბილე, ნ. სურმანიძის გახსენება, მამუკა ჩარკვიანის საავტორო საღამო).

საერთაშორისო და საქართველოს მასშტაბით კულტურულ ღონისძიებებში მონაწილეობის მიღება - კულტურის ცენტრის შემოქმედებითი პერსონალი მიწვეულ იყვნენ ჩინეთში, ლატვიის ქალაქ რიგაში საგუნდო მუსიკის საერთაშორისო ფესტივალზე. სტამბულში - საქართველოს დამოუკიდებლობის დღის აღსანიშნავად, კუშადასში - დამეგობრებული ქალაქების ფესტივალზე, თურქეთის რესპუბლიკის ქ. იალოვაში - დამეგობრებული ქალაქის ფოლკლორულ ფესტივალზე, ასევე კონცერტები ჩატარდა ქ. თბილისში და გასვლითი კონცერტები საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში.

ქალაქისა და ქვეყნის ღირსშესანიშნავი თარიღები - პროგრამის ფარგლებში განხორციელდა „ბათუმობის“ ორგანიზება და ქალაქისა და ქვეყნის ღირსშესანიშნავი თარიღების აღნიშვნა, კერძოდ: დედის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები, 1921 წელს საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ გმირთა ხსოვნის დღის აღნიშვნა, 9 მაისი - ფაშიზმზე გამარჯვების დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, ქალაქის საახალწლო-სადღესასწაულო ღონისძიებები.

რბილი ინვენტარის შეძენა - შეძენილ იქნა სასცენო და საკონცერტო ფორმების შეძენა.

მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება - შეძენილ იქნა მუსიკალური ინსტრუმენტების, კომპიუტერული ტექნიკა და ვებ-გვერდის დამზადება.

➤ **მიღწეული შედეგები:**

მოსახლეობის კულტურული მომსახურება, დამსვენებელთა და უცხოელ ტურისტისათვის კონცერტების ჩატარება;

განხორციელდა ნიჭიერი შემოქმედებითი ახალგაზრდობის მოზიდვა, აღზრდა და განვითარება, საზღვარგარეთის ქვეყნებთან კულტურული ურთიერთობის გაღრმავება.

ქართული კულტურისა და ხელოვნების პოპულარიზაცია.

**ადგილობრივი მნიშვნელობის ბიბლიოთეკების განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02 05)**

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ა(ა)იპ - აკაკი წერეთლის სახელობის ქ. ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკა.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**



დაზუსტებული გეგმა - 607,2 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 604,1 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 99,5%.

**➤ პროგრამის აღწერა:**

საბიბლიოთეკო საქმიანობის ორგანიზება - 2013 წელს ბიბლიოთეკის ფონდი გაიზარდა 9 165 ერთეულით, ბიბლიოთეკაში გაწვევრიანდა (ჩაეწერა) 4 019 მკითხველი, დამსწრეთა რაოდენობამ შეადგინა 95 328 მკითხველი და მათზე გაიცა 225 722 ბეჭდვითი ერთეული.

კულტურულ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო-ინფორმაციული ღონისძიებების, საკლუბო შეხვედრების ორგანიზება - ჩატარდა 128 ღონისძიება; მოეწყო 73 თემატური და კალენდარული გამოფენა, განახლდა 13 მუდმივმოქმედი გამოფენა; 78-ჯერ მოეწყო საკლუბო შეხვედრები.

ბეჭდური და ელექტრონული გამოცემების შექმნა - ჟურნალ-გაზეთების ანალიტიკური აღწერილობის ელექტრონული ვერსიის სპეციალური პროგრამით 2013 წელს შეიქმნა აჭარაში გამოცემული გაზეთების (აჭარა, ბათუმელები, აჭარა პს, ჩემი ქობულეთი, შუახევი, ხულო, ჩვენი გაზეთი) 9 155 სტატიის ანალიტიკური აღწერილობის ელექტრონული კატალოგი; წიგნების ელექტრონული კატალოგების სპეციალური პროგრამით შეიქმნა 2 689 ელექტრონული კატალოგი, ელექტრონული ბაზები განთავსებულია ბიბლიოთეკის ვებ-საიტზე ([www.bpl.ge](http://www.bpl.ge)).

**➤ მიღწეული შედეგები:**

გაიზარდა ბიბლიოთეკის ფონდი მკითხველთა მოთხოვნილებათა და სავალდებულო ეგზემპლართა გათვალისწინებით;

გაიზარდა საბიბლიოთეკო ფონდის ელექტრონული ბაზის მონაცემთა რაოდენობა და მიმართულებები;

მოეწყო კულტურულ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო-ინფორმაციული ღონისძიებები, საკლუბო შეხვედრები, სპეციალიზებული სემინარები და ტრენინგები.

**ბოტანიკური ბაღის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02 06)**

**➤ პროგრამის განმახორციელებელი:**

ა(ა)იპ - ბათუმის ბოტანიკური ბაღი.

**➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 1 125,6 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 1 123,3 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 99,8%.

**➤ პროგრამის აღწერა:**

ბაღის მოვლა პატრონობის სამუშაოების ფარგლებში ჩატარდა სხვადასხვა ხასიათის აგროტექნიკური ღონისძიებები, მათ შორის 108 ჰა ფართობის ტერიტორიის პერიოდული დასუფთავება, ცენტრალური გზებისა და ბილიკების (საერთო სიგრძე) 7 კმ ყოველდღიური დასუფთავება, მათ შორის 3 კმ ტურისტული გზის ღამის განათება. ახალი ნარგავების შეტანისა და კულტივაციის სამუშაოები. ცალკეულ სათბურებსა და ორანჟერეებში ბაღის პარკებისათვის გამოყვანილი იქნა მრავალფეროვანი ყვავილოვანი ნარგავები. წლის განმავლობაში ოთხჯერ ჩატარდა წამლობა სანერგეების საკოლექციო ნაკვეთებისა და ფიტოგეოგრაფიული განყოფილებების ტერიტორიაზე, გატარდა ყოველკვირეული ღონისძიებები მცენარეთა დაცვის მიმართულებით. განხორციელდა სამეურნეო და დამხმარე გზების პერიოდული გაწმენდა, ზამთრის შედეგად დარჩენილი ნამსხვრევი და ნარჩენი საშუაშე მასალის დამუშავება და სარეალიზაციოდ მომზადება, ორანჟერეებისათვის მიწის ნაზავის მომზადება და დამუშავება.



განხორციელდა ინფრასტრუქტურული პროექტები, კერძოდ: “მექსიკური გზის” რეაბილიტაცია, „კრასნოვის ხეივანის“ მოკირწყვლვა, ამიერკავკასიის ფიტო განყოფილებასთან დამაკავშირებელი კიბეების რეაბილიტაცია, დ) ამიერკავკასიის ფიტო განყოფილების ცენტრალური უბნის რეაბილიტაცია, ალპინარიუმთან დამაკავშირებელი გზის მოწყობა, “ავსტრალიის” ფიტო განყოფილებაში სასიმაგრო კედელის მშენებლობა, ე.წ. „სუკულენტების ბორცვიდან“ ზღვისპირა პარკამდე კიბეების საფეხურებისა და ბორდიურების რეაბილიტაცია, სასათბურესთან გზის გამაგრებითი, რკინა-ბეტონის საყრდენი კედელის მშენებლობა, მეყვავილეობის საწარმოსთან კიბეების აღდგენა-რეაბილიტაცია, მეყვავილეობის ღია კვალსათბურების მოწყობა, რადიოგადამცემი სადგურის ანძისათვის დამცავი შენობა-ნაგებობის მშენებლობა.

ორგანიზაციის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლების მიზნით შეძენილ იქნა თერთმეტი ერთეული კომპიუტერი ტექნიკა, ბაღში არსებული ტექნიკისა და სატრანსპორტო საშუალებების მოვლისათვის შეძენილია მაღალ წნევაზე მომუშავე რეცხვის აპარატი.

➤ **მიღწეული შედეგები:**

განახლდა და კეთილმოეწყო ბოტანიკური ბაღის ინფრასტრუქტურა;

გალრმავდა ორგანიზაციის, სამეცნიერო კავშირები, გააქტიურდა სამეცნიერო მუშაობა და შეივსო ბაღის ფლორისტული განყოფილებები. ჩატარდა გეგმიური ღონისძიებები მცენარეთა დაცვის მხრივ, დაზუსტდა ბაღის მცენარეთა კოლექციის ნუსხა;

გაიზრდა დამთვალეირებელთა რაოდენობა, ბაღში ჩატარდა საგანმანათლებლო აქტივობები.

**კულტურული ღონისძიებების საკონცერტო მომსახურებით უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 05 02 08)**

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ა(ა)იპ - ბათუმის სცენა.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 408,0 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 404,0 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 99,0%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდა თვითმმართველობის მიერ ორგანიზებული ღონისძიებების სცენით, გახმოვანებით და განათებით უზრუნველყოფა, კერძოდ: 1921 წელს საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ გმირთა ხსოვნის დღის აღნიშვნა, 9 მაისი – ფაშიზმზე გამარჯვების დღისადმი მიძღვნილი ღონისძიების აღნიშვნა, საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიების აღნიშვნა, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიების აღნიშვნა, ბათუმობა, ქალაქის საახალწლო – სადღესასწაულო ღონისძიებები, ცნობილ ბათუმელთა საიუბილეო თარიღებისადმი და საპატიო ბათუმელებისადმი მიძღვნილი ღონისძიებები, კონკურსები და სხვადასხვა საგანმანათლებლო ღონისძიებები და სხვადასხვა კულტურული და ტურისტული პროექტების ხელშეწყობა და ასევე „ბათუმი არტი - ფესტივალების ქალაქი“-ს პროექტის ფარგლებში საერთაშორისო ფესტივალების მხარდაჭერა, გახმოვანების უახლესი-სისტემითა და განათების აპარატურით სასცენო მომსახურების გაწევა.

➤ **მიღწეული შედეგები:**



ადგილობრივი და საერთაშორისო კულტურული ღონისძიებების შეუფერხებლად ჩატარება;

საკონცერტო ღონისძიებების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ტექნიკური საშუალებებით აღჭურვა.

**კულტურის სხვადასხვა ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 02 09)**

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მერიის განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 128,0 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 128,0 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 100%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

2012 წელს გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად განხორციელდა სამობაო საახალწლო ღონისძიებების ფარგლებში წარმოქმნილი ხარჯების დაფარვა.

**სახელოვნებო და კულტურის ობიექტების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 05 02 10)**

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მერიის კეთილმოწყობის სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 5,5 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 5,5 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 100%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

2011 წელს გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად განხორციელდა მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის ხელოვნების სკოლის დარბაზის სარემონტო სამუშაოების ხარისხის უზრუნველყოფისათვის დაკავებული საგარანტიო თანხის ჩარიცხვა.

**საზოგადოებრივი და ახალგაზრდული ორგანიზაციების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 03)**

**ახალგაზრდობის საქმეთა ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 03 01)**

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მერიის განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 360,8 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 243,7 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 67,5%; პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი იყო ბათუმთან დამეგობრებული ქალაქების ახალგაზრდული კვირეული, რაც საანგარიშო პერიოდის განმავლობაში არ განხორციელებულა, რამაც ძირითადად განაპირობა პროგრამის შესრულების (დაფინანსების) დაბალი მაჩვენებელი

➤ **პროგრამის აღწერა:**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

მხიარულთა და საზრიანთა თამაშები მოსწავლეებისა და სტუდენტებისათვის, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ქ. ბათუმის კერძო და საჯარო სკოლის მოსწავლეებისგან შემდგარმა 8 გუნდმა;





საკვირაო სკოლა - სოციალურად დაუცველი ახალგაზრდებისათვის ღონისძიების ფარგლებში შეიქმნა 4 ჯგუფი;

ინტელექტუალური თამაშები რა? სად? როდის? თამაშებში მონაწილეობა მიიღო ქ. ბათუმის კერძო და საჯარო სკოლების 21 გუნდმა. სულ მონაწილეობა მიიღო 126 მოსწავლემ;

სტუდენტთა დასაქმების პროგრამა განხორციელდა ორ ეტაპად, I ეტაპში მონაწილეობა მიიღო 147 სტუდენტმა და II ეტაპში 145 სტუდენტმა;

ახალგაზრდული თეატრის პროექტში მონაწილეობა მიიღო 24 ახალგაზრდამ და 2 რეჟისორმა;

ბათუმის მოსწავლეთა თვითმმართველობების ფორუმი განხორციელდა სამ ეტაპად: I ეტაპი - ბათუმის სასკოლო თვითმმართველობების ფორუმის საგაზაფხულო სესია, II ეტაპი - გასვლითი ღონისძიება ერთი დღით პრომეთეს მღვიმესა და სათაფლიაში, III ეტაპი - ბათუმის სასკოლო თვითმმართველობების ფორუმის საშემოდგომო სესია;

სამთო ახალგაზრდული ბანაკის პროგრამაში მოწვეული იქნა ბათუმში მოქმედი უმაღლესი სასწავლებლების წარჩინებული და წარმატებული სპორტული მონაცემების მქონე სტუდენტები და ბათუმის ადმინისტრაციებში შემავალი უზნების ახალგაზრდები. I ეტაპში მონაწილეობა მიიღო 35 ახალგაზრდამ, II ეტაპში - 38 ახალგაზრდა, III ეტაპში - 37 ახალგაზრდა;

ბათუმის სტუდენტური ფესტივალი - პროგრამის ფარგლებში მოწვეული იყვნენ, საქართველოს რეგიონებიდან სტუდენტები, რომლებიც ჩაერთვნენ სხვადასხვა შემოქმედებით ღონისძიებებში (თეატრალური წარმოდგენები, ხელნაკეთი ნივთების გამოფენა, ფოტო გამოფენები, ფოლკლორული ჯგუფების სიმღერები, სპორტული აქტივობები), ფესტივალის დასკვნით დღეს გაიმართა გალა - კონცერტი. აგრეთვე ფესტივალის ფარგლებში დაჯილდოვდნენ წარმატებული სტუდენტები;

სტუდენტური ინიციატივების მხარდამჭერი ღონისძიებების პროექტების ფარგლებში დაფინანსდა „სტუდენტური ბიზნეს ოლიმპიადის“ წევრების ტრანსპორტით უზრუნველყოფა;

სკაუტური მოძრაობის ორგანიზაციის მხარდაჭერის ფარგლებში ნაწილობრივ განხორციელდა აჭარის სკაუტთა ორგანიზაციის ოფისის სარემონტო სამუშაოები (სახელმწიფო შესყიდვის შესახებ შესაბამისი ხელშეკრულება შეწყდა მიმწოდებელი კომპანიის მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულად შეუსრულებლობის გამო).

**➤ მიღწეული შედეგები:**

- ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება;
- ახალგაზრდული ორგანიზაციების აქტივობების ზრდა;
- ახალგაზრდა ხელოვანები წარმოჩენა;
- ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება.

**პრიორიტეტი: მოსახლეობის ჯანმრთელობისა დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა**

**ჯანმრთელობის დაცვა (პროგრამული კოდი 06 01)**





**ქრონიკული დაავადების მქონე პაციენტთა მედიკამენტებით უზრუნველყოფა  
(პროგრამული კოდი 06 01 01)**

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 183.6 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 172.4 ათასი ლარი;  
შესრულების პროცენტი - 93.9%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

ბრონქული ასთმით დაავადებულ 302 ბენეფიციარს მიეწოდა მათთვის განკუთვნილი მედიკამენტი წელიწადში ერთხელ;

ეპილექსიით დაავადებულ 221 ბენეფიციარს ყოველთვიურად მიეწოდებოდა მათთვის განკუთვნილი მედიკამენტი;

მეორე ტიპის დიაბეტით დაავადებულ 950 ყოველთვიურად მიეწოდებოდა მათთვის განკუთვნილი მედიკამენტი;

პარკინსონით დაავადებულ 55 ბენეფიციარს ყოველთვიურად მიეწოდებოდა მათთვის განკუთვნილი მედიკამენტი;

➤ **მიღწეული შედეგები:**

დაავადების სტაბილიზაცია;

გაუმჯობესებული ჯანმრთელობისა და სოციალური მდგომარეობა;

ინვალიდობის პრევენცია;

დაავადებათა რეციდივების თავიდან აცილება.

**ონკოლოგიურ დაავადებათა ადრეული ფორმების დიაგნოსტიკა და პრევენცია  
(პროგრამული კოდი 06 01 02)**

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 61.6 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 44.0 ათასი ლარი;  
შესრულების პროცენტი - 71.4%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

მომსახურეობა გაეწია: ექოსკოპია 590 პაციენტს, კოლპოსკოპია 483 პაციენტს და  
ონკომარკერი 598 პაციენტს.

➤ **მიღწეული შედეგები:**

ადრეულ სტადიაში გამოვლენილი პათოლოგია;

გაუმჯობესებული ჯანმრთელობისა და სოციალური მდგომარეობა;

ინვალიდობის პრევენცია.

**მენჯ-ბარძაყის სახსრის დისპლაზიისა და თანდაყოლილი ამოვარდნილობის  
ამბულატორიული მკურნალობა და ახალშობილთა სქრინინგი (პროგრამული კოდი 06  
01 03)**

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 37.8 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 37.6 ათასი ლარი;  
შესრულების პროცენტი - 99.4%.



➤ **პროგრამის აღწერა:**

პროგრამის ფარგლებში სამედიცინო მომსახურეობა გაეწია სმენით სქრინინგი 3439 ბავშვს, რენტგენოგრაფია 14 ერთეული, დისპლაზიის რეაბილიტაცია მკურნალობა გაეწია 145 ბავშვს.

➤ **მიღწეული შედეგები:**

ადრეულ სტადიაში გამოვლენილი პათოლოგია;

ინვალიდობის პრევენცია;

ბათუმში დაბადებული ყველა ახალშობილისთვის სმენის დაქვეითების ადრეული იდენტიფიკაციის ხელმისაწვდომობა;

სმენის დაქვეითებით გამოწვეული შესაძლებლობის შეზღუდვის და ბავშვის განვითარების შეფერხების მინიმინზაცია;

**ფსიქიური პრობლემების მქონე პირთა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 06 01 04)**

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 80.9 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 53.5 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 66.1%. პროგრამის შესრულების დაბალი მაჩვენებელი განპირობებულია დაგეგმილთან შედარებით პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციართა ნაკლები ფაქტიური რაოდენობით.

➤ **პროგრამის აღწერა:**

პროგრამის ფარგლებში 42 პირს უტარდებოდა ერგოთერაპია, არტთერაპია, ფსიქოლოგიური დახმარება, პირები ჩართული არიან სხვადასხვა კულტურულ ღონისძიებებში, ხდება საყოფაცხოვრებო და პროფესიული უნარ-ჩვევების გამომუშავება.

➤ **მიღწეული შედეგები:**

ოჯახურ სივრცეში და თანატოლებთან ურთიერთობის გაუმჯობესება;

თვითშეფასების ამაღლება;

უნარჩვევების გამომუშავება.

**სამედიცინო დაზღვევა (პროგრამული კოდი 06 01 05)**

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 311.6 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 288.4 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 92.5%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

პროგრამის ფარგლებში უფასო ამბულატორიული და სტაციონალური მომსახურეობა ჩაუტარდა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა 1186 თანამშრომელს და 431 მარტოხელა დედას და მისი ოჯახის 6-18 წლამდე ასაკის წევრებს (შვილი).

➤ **მიღწეული შედეგები:**

გაუმჯობესებული ჯანმრთელობის მდგომარეობა;



გაუმჯობესებული სოციალური მდგომარეობა.

**სოციალურად დაუცველ ბენეფიციართა სტომატოლოგიური და ორთოპედიული მომსახურება (პროგრამული კოდი 06 01 06)**

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 125.0 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 121.5 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 97.2%.

➤ პროგრამის აღწერა:

ზედა და ქვედა ყბის პროტეზირება, გვირგვინის დამზადება, რენტგენოგრაფია, პერიდონტიტის მკურნალობა, კბილების ექსტრაქცია. პროგრამის ფარგლებში სამედიცინო მომსახურება გაეწია 486 ბენეფიციარს.

➤ მიღწეული შედეგები:

გაუმჯობესებული სოციალური მდგომარეობა;  
გაუმჯობესებული ჯანმრთელობის მდგომარეობა.

**ქ. ბათუმში მცხოვრები ჰემოდიალიზის ცენტრის პაციენტთა სატრანსპორტო ხარჯების კომპენსაციით უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 01 07)**

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 55.8 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 47.9 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 85.9%.

➤ პროგრამის აღწერა:

პროგრამის ფარგლებში ყოველთვიურად საშუალოდ სარგებლობდა 77 პირი, აქედან შემოერთებული ტერიტორიებიდან 14 პირი, ხოლო ქალაქ ბათუმში მცხოვრები 63 პირი;

➤ მიღწეული შედეგები:

გაუმჯობესებული სოციალური მდგომარეობა;  
გაუმჯობესებული ჯანმრთელობის მდგომარეობა.

**ფენილკეტონურიით დაავადებულ პირთა სამკურნალო საშუალებების კომპენსაციით უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 01 08)**

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 10.0 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 6.5 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 65.0%. პროგრამის შესრულების დაბალი მაჩვენებელი განპირობებულია დაგეგმილთან შედარებით პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციართა ნაკლები ფაქტიური რაოდენობით.

➤ პროგრამის აღწერა:



პროგრამით დახმარება გაეწია 9 პირს, აქედან 18 წლამდე 7 -ს და 18 წლის ზემოთ 2 პირს.

➤ **მიღწეული შედეგები:**

დაავადების სტაბილიზაცია;

ჯანმრთელობისა და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება,

**სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის მხარდაჭერა (პროგრამული კოდი 06 01 09)**

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 916.3 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 911.0 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 99.4%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

პროგრამის ფარგლებში ხორციელდებოდა შპს „სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის“ სუბსიდირება ქ. ბათუმის მოსახლეობისათვის მაღალხარისხიანი უფასო სამედიცინო მომსახურეობის გაწევის - პირველადი პრეკოსპიტალური სასწრაფო-სამედიცინო და გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მიზნით. 2013 წლის განმავლობაში სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის მიერ მიღებულმა გამოძახებების საერთო რაოდენობამ 68 050 შეადგინა.

➤ **მიღწეული შედეგები:**

პირველადი სასწრაფო და გადაუდებელი სამედიცინო დახმარებით უზრუნველყოფილი მოსახლეობა;

გაუმჯობესებული ჯანმრთელობის მდგომარეობა.

**სოციალურად დაუცველი ოჯახების საყრდენ-მამოძრავებელი სისტემის პათოლოგიის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია და მკურნალობა (პროგრამული კოდი 06 01 10)**

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 114.4 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 114.1 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 99.8%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

პროგრამის ფარგლებში სამედიცინო მომსახურეობა გაეწია: რეაბილიტაცია მკურნალობა 650 ბავშვს, რენტგენოგრაფია 456 ბავშვს.

➤ **მიღწეული შედეგები:**

გაუმჯობესებული ჯანმრთელობის მდგომარეობა;

ცხოვრების ჯანსაღი წესი.

**მწვავე ლეიკემიით დაავადებულ ბავშვთა სატრანსპორტო ხარჯების კომპენსაციით უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 01 11)**

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**





ქ. ბათუმის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 9.6 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 9.5 ათასი ლარი;  
შესრულების პროცენტი - 99.0%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

პროგრამით განხორციელდა ქ. ბათუმში მცხოვრები მწვავე ლეიკემიით დაავადებული 10 ბავშვის სატრანსპორტო ხარჯების კომპენსაციით უზრუნველყოფა.

➤ **მიღწეული შედეგები:**

დაავადების კონტროლი და სტაბილიზაცია;  
შემსუბუქებული სოციალური მდგომარეობა.

**შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკურორტო სამკურნალო რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 06 01 12)**

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 39.2 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 39.2 ათასი ლარი;  
შესრულების პროცენტი - 100%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

პროგრამით ისარგებლა 70 ბენეფიციარმა: 35 შშმ პირმა და 35 თანმხლებმა.

➤ **მიღწეული შედეგები:**

უნარჩვევების გამომუშავება;  
ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება.

სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 02)

**სოციალურად დაუცველი ფენის უფასო კვებით უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 02 01)**

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 1,131.7 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 1,119.3 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 98.9%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

პროგრამის ფარგლებში 2100 ბენეფიციარს ყოველდღიურად მიეწოდებოდა ცხელი საკვები ზამთრისა და ზაფხულის მენიუს შესაბამისად.

➤ **მიღწეული შედეგები:**

გაუმჯობესებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა;  
გაზრდილი კმაყოფილების ხარისხი.

**I ჯგუფის უსინათლო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების შეღავათებით უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 02 02)**

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.



➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 27.8 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 22.3 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 80.3%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

კომუნალური გადასახადებით (წყალ-კანალიზაციის საფასური, დასუფთავების მოსაკრებელი) უზრუნველყოფილი საშუალოდ 353 I ჯგუფის უსინათლო შშმ პირი, სატელეფონო-სააბონენტო გადასახადით უზრუნველყოფილი საშუალოდ 140 I ჯგუფის უსინათლო შშმ პირი.

➤ **მიღწეული შედეგები:**

გაუმჯობესებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა; კომუნალური და სატელეფონო-სააბონენტო გადასახადების დაფარვა.

**ვეტერანებისა, მათთან გათანაბრებული პირების, ომში დაღუპულთა ოჯახების წევრების და მარჩენალდაკარგულთა შეღავათებით უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 02 04)**

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 168.2 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 158.0 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 93.9%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

უკვდავყოფისა და სადღესასწაულო დღეების ორგანიზება (შეიმკო მემორიალი 15 თებერვალს, 9 მაისს, 26 მაისს, 27 სექტემბერს)

15 თებერვალთან დაკავშირებით სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე ბრძოლებში დაინვალიდებულმა 6-მა ვეტერანმა მიიღო ერთჯერადი მატერიალური დახმარება 200 ლარის ოდენობით;

9 მაისთან დაკავშირებით II მსოფლიო ომის 71 ვეტერანზე გაიცა ერთჯერადი მატერიალური დახმარება 200 ლარის ოდენობით და II მსოფლიო ომში დაღუპულთა 19 ოჯახის წევრებზე - 100 ლარის ოდენობით;

27 სექტემბერთან დაკავშირებით საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ბრძოლებში დაღუპულთა 59 ოჯახის წევრებმა და ინვალიდებმა მიიღეს ერთჯერადი მატერიალური დახმარება გაიცემა 200 ლარის ოდენობით;

24 გარდაცვლილ ვეტერანის ოჯახს გაეწია ერთჯერადი მატერიალური დახმარება 450 ლარის ოდენობით;

9 მაისს - ფაშიზმზე გამარჯვების დღესთან დაკავშირებით გაიმართა საზეიმო ბანკეტი;

დახმარება გაეწია ვეტერანთა საზოგადოება „ომგადახდილს“ და „ავღანელთა კავშირს“ სუბსიდიის სახით;

პროგრამის ფარგლებში კომუნალური გადასახადებით (წყალ-კანალიზაციის საფასური, დასუფთავების მოსაკრებელი) უზრუნველყოფილი იყო ყოველთვიურად საშუალოდ 1522 ვეტერანი;

სატელეფონო-სააბონენტო გადასახადით უზრუნველყოფილი იყო ყოველთვიურად საშუალოდ 671 ვეტერანი;



ახალ წელთან დაკავშირებით 100 ლარის ოდენობით ერთჯერადი მატერიალური დახმარება გაეწია II მსოფლიო ომის 63 ვეტერანს და II მსოფლიო ომში დაღუპულთა 17 ოჯახის წევრს.

➤ **მიღწეული შედეგები:**

გაუმჯობესებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა;  
 გარდაცვლილ ვეტერანის ოჯახზე მატერიალური დახმარების გაწევა;  
 კომუნალური და სატელეფონო-სააბონენტო გადასახადების დაფარვა.

**უპოვართა და მზრუნველობამოკლებულ მოხუცთა მოვლა-პატრონობა**  
 (პროგრამული კოდი 06 02 05)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 545.2 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 542.6 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 99.5%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

პროგრამის ფარგლებში დახმარება გაეწიათ უპოვარ და მზრუნველობას მოკლებულ მოხუცებულებს, რომლებთაც არ გააჩნიათ საცხოვრებელი ფართი, არ ჰყავთ ნათესავები და მეურვეები. ყოველდღიურად ხორციელდებოდა 115 ბენეფიციარის მოვლა-პატრონობა, სამედიცინო მომსახურების გაწევა და კვებით უზრუნველყოფა.

➤ **მიღწეული შედეგები:**

მოხუცებულთა გაუმჯობესებული ჯანმრთელობის მდგომარეობა;  
 გაუმჯობესებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა.

**სოციალურად დაუცველი და მრავალშვილიანი ოჯახების, მარტოხელა დედების სოციალური დახმარება** (პროგრამული კოდი 06 02 06)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 782.5 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 749.1 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 95.7%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

0-დან 70 000 ქულის მქონე 10700 ბენეფიციარის - მარტოხელა დედები და მათი შვილების, მრავალშვილიანი ოჯახების (5 და მეტი შვილი) კომუნალური გადასახადების (წყალ-კანალიზაციის საფასური, დასუფთავების მოსაკრებელი) საფასურის დაფარვა;

0-დან 100 000 ქულის მქონე, მრავალშვილიანი ოჯახებისა და მარტოხელა დედის, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში მონაწილეთა, დაინვალიდებულთა და ომში დაღუპულთა ოჯახის ბავშვებისათვის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში სწავლების საფასურის სრულად 100%-ით დაფარვა;

0-დან 100 000 ქულის მქონე 100 ბენეფიციარის - მრავალშვილიანი ოჯახებისა და მარტოხელა დედის, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში მონაწილეთა, დაინვალიდებულთა და ომში დაღუპულთა ოჯახის ბავშვებისათვის



სპორტულ და სახელოვნებო დაწესებულებებში სწავლების საფასურის სრულად დაფარვა;

0-70 000 ქულის მქონე გარდაცვლილი სოციალურად დაუცველი ბენეფიციარის 100 ოჯახზე დახმარების გაწევა 450 ლარის ოდენობით;  
